იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროფესორ-მასწავლებელთა
და
დოქტორანტთა
სამეცნიერო კონფერენცია

XXVII (83-ე)

თეზისები

თელავი

2025

საორგანიზაციო კომიტეტი:

თავმჯდომარე

შალვა ჭკადუა - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

თანათავმჯდომარე

ნუნუ გელდიაშვილი - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში

კომიტეტის წევრები:

ირმა შიოშვილი - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში

სოლომონ რამაზაშვილი - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

ნინო კახაშვილი - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური კეთილსინდისიერებისა და სტუდენტთა კონსულტაციის ცენტრის ხელმძღვანელი

სალომე თათულიშვილი - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი

მარიამ ზაქარიაშვილი - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი ინფორმატიკის მიმართულებით

შორენა წიგნაძე - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი ქართული ენის მიმართულებით

ირაკლი ჭიჭაშვილი - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მატერიალურ ფასეულობათა უფროსი ტექნიკოსი

სექციები:

I სექცია: ლიტერატურის სექცია
სექციის ხელმძღვანელი: **ასოც. პროფესორი ნინო გიორგაძე**
I კორპუსი, II სართული, აუდიტორია №218

II სექცია: ისტორიის სექცია
სექციის ხელმძღვანელი: **პროფესორი თენგიზ სიმაშვილი**
I კორპუსი, II სართული, აუდიტორია №32
(დიდი სააქტო დარბაზი)

III სექცია: ეკონომიკის, ბიზნესისა და ტურიზმის სექცია
სექციის ხელმძღვანელი: **პროფესორი ია ჯიმშიტაშვილი**
I კორპუსი, V სართული, აუდიტორია № 509

IV სექცია: განათლების მეცნიერებათა სექცია
სექციის ხელმძღვანელი: **ასოც. პროფესორი შორენა ძამუკაშვილი**
I კორპუსი, IV სართული, აუდიტორია №416

V სექცია: ენათმეცნიერების სექცია
სექციის ხელმძღვანელი: **ასოც. პროფესორი ელენე ფილაშვილი**
I კორპუსი, II სართული, აუდიტორია № 213 (მცირე სააქტო დარბაზი)

VI სექცია: აგრარულ მეცნიერებათა სექცია
სექციის ხელმძღვანელი: **ასოც. პროფესორი ირა შილდელაშვილი**
I კორპუსი, IV სართული, აუდიტორია №421

VII სექცია: საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და ინფორმაციული ტექნოლოგიების სექცია
სექციის ხელმძღვანელი: **პროფესორი თამარ ნადირაძე**
I კორპუსი, IV სართული, აუდიტორია № 404

VIII ფილოსოფიის, სამართლის და პოლიტიკურ მეცნიერებათა სექცია
სექციის ხელმძღვანელი: **ასოც. პროფესორი ქეთევან შაშვიაშვილი**
I კორპუსი, V სართული, აუდიტორია № 507

სარედაქციო საბჭო:

ნუნუ გელდიაშვილი - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში (თავმჯდომარე)

ქეთევან შაშვიაშვილი - სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის დეპარტამენტის ხელმძღვანელი

შორენა ძამუკაშვილი - განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი

ირა შილდელაშვილი - აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების დეპარტამენტის ხელმძღვანელი

სედა ასატუროვი - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი

I სექცია
ლიტერატურა

პროფესორი ნინო კოჭლოშვილი

შიო არაგვისპირელის თხზულებათა პუბლიკაციის ზოგიერთი საკითხისათვის

შიო არაგვისპირელის თხზულებთა ნაბეჭდ წყაროებზე მუშაობამ ნოველისტის შემოქმედებითი ცხოვრების არაერთ მნიშვნელონი საკითხს მოჰფინა ნათელია.

შიო არაგვისპირელმა თავისი პირველი ნაწარმოები „მოგონება“ გამოაქვეყნა 1890 წელს ჟურნალ „ჯეჯილის“ V ნომერში.

1890 წლიდან დაწყებული შიო არაგვისპირელის გარდაცვალებამდე, 1926 წლამდე, ავტორის უშუალო მეთვალყურეობით განხორციელდა მისი ნაწერების არაერთი პუბლიკაცია.

გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმში დაცულია შიო არაგვისპირელის ნაწერების ბიბლიოგრაფია. აღნიშნული ბიბლიოგრაფიიდან როგორც ირკვევა, მწერალი აქტიურად თანამშრომლობდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებთან და სისტემატურად აქვეყნებდა საკუთარ ნაწარმოებებს.

შიო არაგვისპირელის ნაწარმოებები ავტორის სიცოცხლეში ცალკე წიგნებადაც გამოდიოდა. პირველად მისი თხზულებების კრებული დაიბეჭდა 1900-1914 წლებში. აღნიშნულმა გამოცემამ, ბუნებრივია, მკითხველთა ყურადღება მიიპყრო. ამიტომ 1919 წელს ავტორმა კვლავ გაიმეორა ეს გამოცემა.

შიო დედაბრიშვილი, როგორც ცნობილია, სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა ფსევდონიმით „არაგვისპირელი“. როგორც მკვლევარი ლევან ჭრელაშვილი მიუთითებს, მწერლის მოთხრობების გარკვეული ნაწილი გამოქვეყნებულია უცნობი ფსევდონიმებით: „ზეგანელი“, „კოდმანელი“, სამი ვარსკვლავი (* * *).

ბუნებრივია, გაჩნდა ინტერესი ქართული კლასიკური ნოველის მამამთავრის, შიო არაგვისპირელის მიერ რამდენიმე ფსევდონიმის გამოყენებას რა განაპირობებდა.

შიო არაგვისპირელის თხზულებების ნაბეჭდ წყაროებზე მუშაობამ არაერთ ტექსტოლოგიურ პრობლემასთან ერთად აღნიშნულსაც მოჰფინა ნათელი.

ავტორის ვინაობის გასაიდუმლოება სხვადასხვა ფაქტორით იყო გამოწვეული. რიგ შემთხვევაში, ერთსა და იმავე საგამომცემლო ორგანოში მწერალს ეკრძალებოდა ერთდროულად ერთზე მეტი ნაწარმოების გამოქვეყნება, რის გამოც იგი სხვადასხვა ფსევდონიმს იყენებდა, რიგ შემთვევაში კი, საქართველოში რუსიფიკატორული იდეოლოგიის გატარების დროს, მკაცრ საცენზურო პირობებში აუცილებელი ხდებოდა ავტორთა გასაიდუმლოება, განსაკუთრებით იმ ნაწერებში, სადაც ანტისაბჭოური იდეოლოგია ჩანდა.

ასოცირებული პროფესორი ნინო გიორგაძე

კულტურული დიპლომატიის ნიმუში ქართულ-გერმანულ ურთიერთობებში (არტურ ლაისტის „საქართველოს გული“)

კულტურული დიპლომატია თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთ ყველაზე ჰუმანურ და ეფექტურ მექანიზმად განიხილება. ის განსაკუთრებით აქტუალური ხდება, როდესაც საქმე ეხება მცირე ერების წარმოჩენასა და საკუთარი კულტურული იდენტობის დაცვას. ამ კონტექსტში, ქართული და გერმანული ურთიერთობების ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს არტურ ლაისტს, რომლის ნაშრომი „საქართველოს გული“ წარმოადგენს ქართულ-გერმანული კულტურული დიალოგის უნიკალურ ნიმუშს.

არტურ ლაისტის მოღვაწეობა გამორჩეულად მნიშვნელოვანია ქართული მწერლობის, განსაკუთრებით კი შოთა რუსთაველის, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ევროპულ სივრცეში წარდგენის კუთხით.

არტურ ლაისტი შეგვიძლია ჩავთვალოთ ერთ-ერთ კულტურულ ელჩად, რომელმაც ქართული იდენტობა ევროპის კულტურულ რუკაზე გადაიტანა. მისი ტექსტები დღესაც რჩება მნიშვნელოვან საბაზისო მასალად იმ მკვლევრებისთვის, ვისაც სურს გაეცნოს ქართული კულტურის როლსა და ადგილს დასავლეთში. ა. ლაისტის მოღვაწეობა ნათელყოფს იმ პირველ ნაბიჯებს, რომელზეც ქართულ-გერმანული კულტურული დიალოგი შენდებოდა და დღესაც გრძელდება ინტელექტუალურ დონეზე.

ასოცირებული პროფესორი ნინო ძამუკაშვილი

ამერიკული ნაივი და იდეალიზმი ბებერი ევროპის პირისპირ ჰენრი ჯეიმსის ნოველის ,,მადამ დე მოვი" მიხედვით

ჰენრი ჯეიმსი (1843-1916), მსოფლიოში აღიარებული დიდი ამერიკელი პროზაიკოსი თითქმის მთელი ცხოვრების განმავლობაში ორ სამყაროს შორის მოძრაობდა და მათი ერთმანეთთან შედარებით იყო დაკავებული. ბებერი კეთილი ევროპა და ახალი, ,,მამაცი“ სამყარო ამერიკისა იყო ის დიქოტომია, რაც მის მარად მაძიებელ, ცნობისმოყვარე გონებას კვებავდა და მოსვენებას არ აძლევდა. ამ თემას ჯეიმსმა მრავალი ნაწარმოები მიუძღვნა.

ნიუ-იორკის ერთ-ერთ გამორჩეულ ოჯახში დაბადებულ მომავალ მწერალს ბავშვობიდანვე ერგო პრივილეგია, რომ მიეღო საუკეთესო განათლება და ფართოდ ემოგზაურა ევროპაში. ის შთაბეჭდილებები, რაც ჯეიმსის ახალგაზრდა, ნათელ გონებას სიყმაწვილეშივე დააჩნდა, განვითარდა და დაიხვეწა მრავალწლიანი დაკვირვებისა და იმდროინდელ მოწინავე ადამიანებთან–როგორც ევროპიდან, ასევე ამერიკიდან–ურთიერთობებისა და საუბრების შედეგად.

ნოველა ,,მადამ დე მოვი“ ერთ-ერთია იმ ნაწარმოებებიდან, რომელიც იკვლევს ამრიკელთა ბედს ევროპაში. მადამ დე მოვი, მშვენიერი ახალგაზრდა ამერიკელი ქალი თავისი ილუზიების და ადამიანის დიდგვაროვნული ტიტულის მიმართ გულუბრყვილო რწმენის წყალობით მოექცევა უსიყვარულო ქორწინების ხაფანგში და მიუხედავად ამისა, იგი სტოიკურად იტანს თავის ხვედრს.

სიმბოლურად, მადამ დე მოვი განასახიერებს იმდროინდელ ახალგაზრდა ამერიკის სახელმწიფოს, რომელსაც სჯერა ამერიკული ოცნების. ამერიკაში ბედის საძიებლად გადახვეწილი უამრავი ევროპელი ახალ ცხოვრებას იწყებს და იმედად მხოლოდ საკუთარი მარჯვენა და რწმენა ეგულება. აქ, ამ უკლასო საზოგადოებაში ყველა მათგანი თანასწორია და ყველას წარმატების თანაბარი შანსი აქვს.

ჩვენი მოხსენების მიზანია, ჰენრი ჯეიმსის ამ ნოველის მიხედვით, ვაჩვენოთ ამ ორი სამყაროს შეხების და დაშორების წერტილები და წარმოვაჩინოთ ახალგაზრდა ამერიკელი ქალის ბედი ევროპაში. ასევე, გავშალოთ და ვაჩვენოთ, თუ როგორ ირეკლება აღიარებული შეხედულება *Noblesse oblige* (ფრ. ,,კეთილშობილება გავალდებულებს“) ნოველის პროტაგონისტებსა და ანტაგონისტებზე.

კვლევის მეთოდად გამოვიყენეთ აღწერისა და შედარება-შეპირისპირების მეთოდი.

ჩვენი აზრით, საინტერესო იქნება მსმენელთათვის ჩვენს მიერ გამოვლენილი პარალელები ერთის მხრივ ჰენრი ჯეიმსის ნოველასა და მეორეს მხრივ, კურტუაზიულ ლიტერატურას, ევრიპიდეს ,,მედეას“ და მიგელ დე სერვანტესის ,,დონ კიხოტეს“ შორის.

II სექცია
ისტორია

პროფესორი თენგიზ სიმაშვილი

თელავის მაზრა 1920-1930-იან წლებში საარქივო მასალების მიხედვით
(ვარდისუბანი, რუისპირი, იყალთო)

მოხსენება შეეხება თელავის მაზრის ადმინისტრაციულ დაყოფას და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მდგომარეობას 1920-1930-იან წლებში. მასში აღნიშნულია, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში, კერძოდ, 1920 წელს, თელავის მაზრა შედგებოდა 13 წვრილი საერობო ერთეულისგან - თემისგან. მათ შორის ,,რუისპირის თემში'' შედიოდა - სოფლები ყარაჯალა, არტოზანი, ახატელი, იყალთო და თაღლაური, ხოლო ,,კურდღელაურის თემში'' - სოფლები შალაური, ვარდისუბანი, მერე და გულგულა.

საარქივო მასალების მიხედვით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში სასოფლო თემები ძირითადი ყურადღებას აქცევდნენ გზების შეკეთებას, წყლების გაყვანას, განათლებას - მოსახლეობის სოციალური და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხებს. მასალებიდან ჩანს, რომ უკვე, 1920-1921 წლებში თითქმის მთელ მაზრაში გზები შეკეთებული იყო. 1920 წლისთვის თელავის მაზრაში ფუნქციონირებდა 32 სკოლა. თემების დაარსების შემდეგ მილიცია გადავიდა სათემო თვითმმართველობების დაქვემდებარებაში და გაუმჯობესდა კრიმინოგენული სიტუაცია. თელავის მაზრა დაიყო ხუთ საექიმო საუბნო პუნქტებად, თემების ცენტრებში გახსნილი იყო უფასო აფთიაქები ღარიბი მოსახლეობისთვის. თელავის მაზრაში ასევე არსებობდა აგრონომიული განყოფილება, რომელიც ეხმარებოდა მოსახლეობას.

1921 წლის თებერვალში, წითელი არმიის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, საქართველოს ტერიტორიაზე 1930 წლამდე ძირითად ადმინისტრაციულ ერთეულად მაზრა დარჩა. 1928-1929 წლებში საბჭოთა ადმინისტრაციული რეფორმების შედეგად შემოღებულ იქნა უფრო ფართო ადმინისტრაციული ერთეული - ოლქი. 1928 წლის ზაფხულში შეიქმნილი კახეთის ოლქი ცენტრით გურჯაანში, 1930 წლის მარტიდან განხორციელებული მორიგი რეორგანიზაციის შედეგად დაშლილ იქნა და 1930 წლის ოქტომბრიდან მაზრების მაგივრად, შემოღებულ იქნა უფრო მცირე ადმინისტრაციული ერთეულები - რაიონები.

საბჭოთა პერიოდში რაიონებში ძირითად ადმინისტრაციულ ერთეულებად ითვლებოდა სასოფლო საბჭოები, რომლებიც მოიცავდნენ ერთ ან რამდენიმე სოფელს. მაგალითად, თელავის რაიონში 1930-იან წლებში არსებობდა ვარდისუბნის, რუისპირის, იყალთოს და სხვა სასოფლო საბჭოები. სასოფლო საბჭოები ექვემდებარებოდნენ თელავის რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტს.

მოხსენებაში გაანალიზებულია სოფლების - ვარდისუბნის, რუისპირის და იყალთოს სასოფლო საბჭოების 1930-იანი წლების საარქივო მასალები, გამოაშკარავებულია საბჭოთა პერიოდში სოფლის ყოველდღიური ადმინისტრაციული მართვის მექანიზმები. განხილულია 1930-იან წლებში, სოფლის მოსახლეობაზე განხორციელებული სოციალურ-ეკონომიკური წნეხის მაგალითები, რაც ძირითადად უკავშირდებოდა საბჭოთა სამეურნეო პოლიტიკის იძულებით ხასიათს, გადაჭარბებულ საგადასახადო ტვირთს და სხვა საკითხებს.

პროფესორი გიორგი გოცირიძე

XX ს-ის 20-იანი წლების საქართველოს ისტორიის გაკვეთილები

ნაშრომი ეხება ისტორიის გაკვეთილების გააზრებას თანამედროვე პოლიტიკურ კონტექსტში. კვლევის მიზანია XX საუკუნის 20-იანი წლების საქართველოს ისტორიის ანალიზი და ისტორიული გაკვეთილების გამოკვეთა, რომლებიც მნიშვნელოვანია თანამედროვე საქართველოს დემოკრატიული განვითარების, დამოუკიდებლობის, მეხსიერების პოლიტიკისა და სახელმწიფოებრივი მდგრადობისთვის. კვლევის ობიექტს შეადგენს 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოფიციალური დოკუმენტები, ოკუპაციის შემდგომი საბჭოთა არქივები, იმდროინდელი პრესა, ქართველ და უცხოელ მოღვაწეთა მემუარები და წერილები.

1918 წლის 26 მაისს გამოცხადებული დამოუკიდებლობა მხოლოდ სამი წელი გაგრძელდა, რომლის დაკარგვაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საერთაშორისო კონტექსტსა და ქვეყნის შიგნით არსებულ ვითარებას: დასავლეთის მხარდაჭერის პირობითობას, მეზობელ რუსეთში მოძლიერებულ საბჭოთა ხელისუფლებას, რომელიც სამხრეთ კავკასიას თავისი გავლენის ზონად მიიჩნევდა და შიდა პოლიტიკური ვითარების სიმძიმეს. 1921 წლის თებერვალში საქართველოს საბჭოთა ოკუპაცია ამ ფაქტორების ერთიანობის შედეგი იყო. საქართველოს მთავრობის საგარეო პოლიტიკა არასაკმარისად ეფექტური აღმოჩნდა. ამავე დროს, ქვეყნის შიგნით მან ვერ მოახერხა ფართო პოლიტიკური კონსოლიდაცია. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იდეალისტური, მაგრამ ინსტიტუციურად დაუმკვიდრებელი მოდელი ვერ გაუმკლავდა რეგიონულ კრიზისებსა და ბოლშევიკური რუსეთის წნეხს.

1924 წლის აჯანყება, რომელიც სასტიკად იქნა ჩახშობილი დიდწილად ქართველების ხელით, ნათლად აჩვენებს, რომ თავისუფლების იდეალები კვლავ არსებობდა, მაგრამ მათი რეალიზება მძიმე პოლიტიკური და სოციალური კონტექსტის გამო შეუძლებელი გახდა.

საბჭოთა მმართველობა შეეცადა, წარსულის მეხსიერება წაეშალა და შეეცვალა იგი ახალი იდეოლოგიური ნარატივებით. ამ ფაქტმა კიდევ ერთხელ ნათელყო, რომ მეხსიერებაზე კონტროლი ერთ-ერთი მთავარი იარაღია ავტორიტარული რეჟიმებისთვის. შესაბამისად, ისტორიის კრიტიკული ანალიზი და მისი ობიექტური განხილვა აუცილებელია თავისუფალი საზოგადოების განვითარებისთვის. სწორედ ამაში მდგომარეობს კვლევის აქტუალობა.

ქართული ეროვნული იდენტობისა და პოლიტიკური ხედვის შენარჩუნებაში XX ს-ის 20-იანი წლების პოლიტიკური ემიგრაციის როლის გათვალისწინებით, დღეს, საზღვარგარეთ მყოფი ჩვენი თანამემამულეები უნდა განვიხილოთ როგორც მძლავრი ინტელექტუალური და კულტურული რესურსი ქვეყნის განვითარებისთვის.

XX ს-ის 20-იანი წლების ისტორია გვასწავლის, რომ მხოლოდ ეროვნული იდეალები არ არის საკმარისი სახელმწიფო მშენებლობისთვის. საჭიროა ძლიერი დემოკრატიული ინსტიტუტები, ეროვნული თანხმობა, სტრატეგიული ხედვა და მყარი საერთაშორისო კავშირები, რათა ქვეყანამ გაუძლოს გარე და შიდა გამოწვევებს. ამ გაკვეთილების ცოდნა კი არა მხოლოდ ისტორიკოსების, არამედ საზოგადოების ყველა სეგმენტისთვის აუცილებელია.

ასოცირებული პროფესორი ალექსანდრე მოსიაშვილი

საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია ე. წ. ,,დიფ სთეითის“ შესახებ

საქართველო თავისი ისტორიის მანძილზე არაერთხელ გამხდარა უცხო ქვეყნების გავლენის მატარებელი. აქ საგულისხმოა, როგორც ერთიანი ქართული სახელმწიფო, ასევე ცალკ-ცალკე აღებული ქართული სამეფო-სამთავროები. აღნიშნული გავლენის (პირველ რიგში იგულისხმება პოლიტიკური გავლენა _ ა. მ.) განხორციელებაში მტრულად განწყობილ უცხოურ ძალებს, სამწუხაროდ, ხშირად ხელს უწყობდნენ საქართველოს შიგნით ,,მოღვაწე“ კოლაბორაციონისტები და მოღალატეები. ასეთი გარე და შიდა ძალები ჩვენ შეგვიძლია მოვიძიოთ საქართველოს უახლესი ისტორიის პერიოდშიც. მაგრამ, ტერმინი ,,დიფ სთეითი“ ერთგვარად ტრენდულად იქცა საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლების მმართველობის პირობებში. მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული ტერმინის გამოყენება საქართველოში ბოლო პერიოდამდე არ შეინიშნებოდა, შინაარსობრივად მისი, როგორც უცხოური ძალის გავლენის გატარება ან გატარების მცდელობა, ქვეყნის შიგნით მოძიებული დასაყრდენის ხელშეწყობით სრულიად აშკარა იყო მაგალითად, საქართველოს რესპუბლიკის ლეგიტიმურად არჩეული ეროვნული ხელისუფლების დროს. ამას ცხადყოფს შესაბამისი მასალების მოძიება და მათი ანალიზი.

საქართველოს რესპუბლიკის პირველი და ამავე დროს კანონიერად არჩეული პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია თავის ცნობილ გამოსვლებში, მიმართვებსა და ინტერვიუებში _ მისი ხელისუფლების სათავეში ყოფნის დროსაც და მისი საქართველოდან განდევნის შემდგომაც _ არაერთგზის ამხელდა, როგორც უცხოური გავლენის საქართველოს რესპუბლიკისთვის თავსმოხვევის ინიციატორებს, არამედ მათი აგენტურის წარმომადგენლებასაც. პირველ რიგში, მაინც უნდა ითქვას ერთი რამ, კერძოდ ის, რომ საქართველო XIX საუკუნის დასაწყისიდანვე იბრძოდა რუსეთის იმპერიული მარწუხებისაგან თავის დასახსნელად. ისტორიული ფაქტი და რეალობაა, რომ მაშინ ქართული ეროვნული ინტერესების საზიანოდ საქართველოს არაერთი მკვიდრი ჩადგა რუსულ-იმპერიულ სამსახურში და ძალიან ნეგატიური როლიც ითამაშეს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. მას შემდეგ 1918-1921 წლების საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის პირობებშიც შეიმჩნევა ე. წ. ,,დიფ სთეითი“ საქართველოში, რასაც შედეგად მოჰყვა საქართველოს კიდევ ერთხელ ძალით დაპყრობა საბჭოთა რუსეთის მიერ და საქართველო მოექცა სსრკ-დ წოდებულ რუსეთის იმპერიის ახალ 70-წლიან მარწუხებში. შესაბამისად, არ გასჭირვებია კრემლის სპეცსამსახურებს თავისთვის საიმედო დასაყრდენის მოძიება საქართველოში 1990 წლის 28 ოქტომბრის პირველი მრავალპარტიული არჩევნების შედეგად რესპუბლიკის სათავეში მოსული ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ სამოქმედოდ.

უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე და შემდგომში პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია ღიად ამხელდა საქართველოსთვის მტრულად განწყობილ კრემლის პოლიტიკას, მის მოქმედებებს და საქართველოში მოქმედ მისსავე აგენტურას. მაგრამ, ამავე დროს, ზვიად გამსახურდიას მხილებული ჰყავს ევროპული და ამერიკული ძალებიც ე. წ. ,,დიფ სთეითის“ განხორციელებაში საქართველოს წინააღმდეგ.

დოქტორანტი, მოწვეული მასწავლებელი მაია ახალკაციშვილი

საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობათა ძირითადი ასპექტები პოლიტიკურ-კულტურულ ჭრილში (XVIII-XIX საუკუნეები)

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ალექსანდრე მოსიაშვილი

XVIII-XIX საუკუნეები საქართველოს ისტორიის გარდამტეხ პერიოდს წარმოადგენს. ქვეყანა აქტიურად ცდილობდა ურთიერთობების განვითარებას ევროპის სახელმწიფოებთან. განსაკუთრებით საინტერესოა საქართველოსა და საფრანგეთის პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობები, რაც საქართველოს ევროპული კურსის ნაწილად და ქვეყნის დამოუკიდებლობის შენარჩუნების სტრატეგიად შეიძლება ჩაითვალოს.

კვლევის მიზანია გააანალიზოს XVIII-XIX საუკუნეებში საქართველო-საფრანგეთის პოლიტიკური და კულტურული კავშირების დამყარების პერსპექტივები, აჩვენოს იმ პერიოდის საქართველოს ევროპული ორიენტაცია და გამოკვეთოს ფრანგული კულტურის ზეგავლენა ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარებაზე. საკონფერენციო მოხსენებაში განხილულია სულხან-საბა ორბელიანის ელჩობა საფრანგეთში და მისი შედეგები, ერეკლე II-ისა და მისი მემკვიდრეების კორესპოდენცია საფრანგეთის სამეფო კართან და საფრანგეთის ფარული და ინტელექტუალური მხარდაჭერა 1832 წლის შეთქმულების მიმართ.

კვლევა ეყრდნობა ისტორიულ-დოკუმენტურ წყაროებს, ქართველი და ფრანგი ისტორიკოსების ნაშრომებს. გამოყენებულია დისკურსული, ნარატიული და კომპარატიული ანალიზის მეთოდები.

შედეგები მიუთითებს რომ მიუხედავად გეოპოლიტიკური შეზღუდვებისა, ამ ურთიერთობებმა ხელი შეუწყო ევროპული იდენტობის გაღრმავებას. აღნიშნული ელჩობის ცდები ასახავს საქართველოს გეოპოლიტიკურ ორიენტაციას. ერეკლე II და მისი მემკვიდრეები ცდილობდნენ საგრანგეთთან ურთიერთობების გაღრმავებას, როგორც ალტერნატიულ გზას რუსეთის იმპერიის პარალელურად. 1832 წლის შეთქმულების წარმომადგენლები განიცდიდნენ საფრანგეთის რევოლუციის ირიბ გავლენას და ცდილობდნენ პარიზიდან დახმარების მიღებას.

საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობების ისტორია იყო ეპიზოდური, თუმცა ელჩობები და საფრანგეთის მიმართ ქართული სამეფო კარის ინტერესები აჩვენებს ევროპულ ფასეულობებთან თანხვედრას და ადასტურებს საქართველოს ისტორიულ ევროპულ ორიენტაციას. 1832 წლის შეთქმულების მცდელობაში კი უკვე გამოვლენილია არა მხოლოდ პოლიტიკური ურთიერთობები, არამედ კულტურულ-იდეოლოგიური გავლენაც.

დოქტორანტი, მოწვეული მასწავლებელი გიორგი მწყერაძე

თელავის ისტორიულ მუზეუმში დაცული უცხოური მონეტები

მოხსენება ეხება თელავის ისტორიულ მუზეუმში დაცულ უცხოური მონეტების კოლექციას. ამ დრომდე მათი საგანგებოდ კვლევა არ განხორციელებულა. შესაბამისად, სამეცნიერო ლიტერატურაში მხოლოდ მწირი ცნობები მოიპოვება აღნიშნული მასალის შესახებ. თელავის ისტორიულ მუზეუმში დაცულ ნუმიზმატიკურ ძეგლებს სპეციალისტთა ვიწრო წრე იცნობს. მუზეუმში დაცულია ძვ. წ. IV - ახ. წ. XX საუკუნეების ნუმიზმატიკური მასალა.

გაიშიფრა და ქართულად ითარგმნა მონეტებზე არსებული სხვადასხვა ენაზე (ბერძნული, ლათინური, ფალაური, არაბული, უიღურული, სპარსული, ოსმალური) შესრულებული ზედწერილები. განისაზღვრა და დაზუსტდა მონეტების ატრიბუცია.

თელავის ისტორიულ მუზეუმში თავმოყრილი ნუმიზმატიკური მასალა კახეთის ტერიტორიაზეა აღმოჩენილი. ამ თვალსაზრისით, მონეტები ძვირფასი ინფორმაციის მომცემია რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური თუ პოლიტიკური მდგომარეობის გააზრებისთვის. ასევე, მონეტების აღმოჩენის ადგილები გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის სავაჭრო-საქარავნო გზების მარშრუტების შესახებ. როგორც ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით ირკვევა, არაუგვიანეს ძვ. წ. IV საუკუნისა ისტორიულ-გეოგრაფიული კახეთ-ჰერეთის ტერიტორია აქტიურად ჩანს ჩართული როგორც შიდა, ისე საგარეო სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში.

უცხოური მონეტების მაგალითზე ნათლად ჩანს ისტორიულ-გეოგრაფიული კახეთ-ჰერეთის ტერიტორიაზე და მის ირგვლივ განვითარებული პოლიტიკური მოვლენები, რომელიც ასახულია სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებზეც. ამა თუ იმ პერიოდში მომხდარი ცვლილებები, ცხადია ნუმიზმატიკურ ძეგლებზეც პოვებდა ასახვას.

თელავის ისტორიულ მუზეუმში დაცული უცხოური მონეტები გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ისტორიულ-გეოგრაფიულ კახეთ-ჰერეთში უცხოური ფულის მიმოქცევაზე, ზოგად ეკონომიკურ, თუ პოლიტიკურ მდგომარეობაზე. წარმოდგენილი მონეტები უტყუარი ისტორიული ღირებულების დოკუმენტებია აღმოსავლეთ საქართველოსა და მისი აღმოსავლეთ რეგიონის გარესამყაროსთან კავშირისა.

ასოცირებული პროფესორი მადონა ქებაძე

მსოფლიო წესრიგი 1920-1930 წლებში

კვლევის მიზანი:

გამოვიკვლიოთ და გავაანალიზოთ მსოფლიო წესრიგის ცვლილებები და სუვერენიტეტი 1920-1930 წლების პერიოდში, გამოვავლინოთ მთავარნი ფაქტორები და მოვლენები, რომლებიც გავლენას ახდენდნენ გლობალურ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალური პარამეტრებზე და განვმარტოთ ამ ცვლილებების გავლენა მსოფლიო პროცესებზე.

კვლევის მეთოდები:

კვლევაში გამოყენებული იყო ბეჭდურ წყაროები და სამეცნიერო ნაშრომები. მონაცემების შეგროვება და ანალიზი განხორციელდა ქრონოლოგიური წესრიგით, შედარებით და კონტექსტის ანალიზის მეთოდებით, რათა გამოვლინებულიყო ძირითადი ცვლილებები მსოფლიო წესრიგში აღნიშნულ პერიოდში.

1920-იან და 1930-იან წლებში მსოფლიო წესრიგი ხასიათდებოდა მნიშვნელოვანი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ცვლილებებით, რამაც საფუძველი ჩაუყარა მეორე მსოფლიო ომამდე მღელვარე მოვლენებს. აქ არის რამდენიმე ძირითადი ასპექტი აღნიშნული ეპოქის:

მოკლედ, 1920-იან და 1930-იან წლებში მსოფლიო წესრიგი განისაზღვრა პირველი მსოფლიო ომის შედეგებით, ეკონომიკური არასტაბილურობით, ტოტალიტარული რეჟიმების აღზევებით და საერთაშორისო დიპლომატიის წარუმატებლობებით, რამაც საფუძველი დაუდო მეორე მსოფლიო ომს. ამ პერიოდის დაძაბულობამ და კონფლიქტებმა ხაზგასმით აღნიშნეს არსებული გლობალური პოლიტიკური ჩარჩოს არაადეკვატურობა და ხელი შეუწყო ომის შუალედური წესრიგის საბოლოო დაშლას.

კვლევის მიგნებები:

კვლევამ აჩვენა, რომ 1920-იანი წლების დასაწყისში მსოფლიო წესრიგი იყო მნიშვნელოვან ცვლილებებთან და სტაბილურობის პერიოდში. ომის შედეგებმა გამოიწვია ახალი ქვეყნების გაჩენა, საერთაშორისო ორგანიზაციების შექმნა, თუმცა მათი ეფექტურობა იყო შეზღუდული. ეკონომიკური სირთულეები და პოსტკონფლიქტური დისკომფორტი განაპირობეს პოლიტიკურ დაძაბულობას და ნაციონალიზმის ზრდას. ამან საბოლოოდ განაპირობა მეორე მსოფლიო ომის დაწყება და მსოფლიო წესრიგის ახალი გარდასახვა.

ასოცირებული პროფესორი თეიმურაზ ახალმოსულიშვილი

ერთი სოფლის წარსულის ქრონიკები ზეპირ-ხალხური თქმულებებისა და წერილობითი წყაროების მიხედვით (სოფელ კონდოლის მაგალითზე)

სოფელი კონდოლი (თელავის მუნიციპალიტეტი) საქართველოში იმ ისტორიულ სოფელთა რიცხვს განეკუთნება, რომლებიც ქმნიდნენ ქართველი ერის სახელოვან ისტორიას. თაკარა მზე და ფრიად ნაყოფიერი ალაზნის ველი ყოველთვის ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა აქ თავთავიანი კულტურების წარმოებისათვის. ოდითგან სოფელში კულტივირებული ყოფილა (ზეპირ-ხალხური გადმოცემების მიხედვით) სახელგანთქმული დოლის პურის (ხორბლის ჯიშია) წარმოება. ჩვენი ღრმა რწმენით სწორედ კონა-კონად შეკრული დოლის ხორბლის თავთავებისაგან წარმოიშვა სოფლის სახელწოდება - კონა-დოლი, შემდეგში კონდოლი.

სოფელი იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“, მე-17-მე-18 სს-ის ისტორიული საბუთები „ქრონიკები“, ქართული სამართლის ძეგლები, იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“ და მთელ რიგ სიგელ-გურჯებსა და დადგენილებებში. კონდოლი საქარავნო გზაზე მდებარეობდა. გზა მოემართებოდა გრემიდან, გამოდიოდა მდინარე ალაზანს, კონდოლს, კისისხევს-კონდამიანის ხეობით გადადიოდა საგარეჯოში და მიემართებოდა თბილისისაკენ. სოფელი წერილობითი წყაროების მიხედვით საეკლისიო სოფელია. ამის გამო ხშირია ქიშპობა ბოდბისა და ალავერდის ეპარქიებს შორის მისი კუთვნილების გამო. უამრავი ცნობებია გაბნეული კონდოლის ისტორიის, სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების შესახებ გაზეთების „ივერია“, „დროება“, „შრომა“ და ა.შ. ფურცლებზე. კონდოლი წისქვილების სოფლადაა ცნობილი. ზეპირ-ხალხური წყაროების მიხედვით ჩვენს მიერ აქ 19 წისქვილია შესწავლილი.

კონდოლელებმა თავი გამოიჩინეს მეორე მსოფლიო ომის ფრონტებზე. ომის შემდგომ სოფლის ავკარგიანობა ფართოდ შუქდებოდა არჩილ კოკილაშვილის მიერ სოფელში დაარსებულ მრავალ ტირაჟიანი გაზეთის ფურცლებზე, რომელიც გამოდიოდა ჯერ „ალაზნის განთიადის“, შემდეგ „კოლმეურნის ხმის“, ხოლო ბოლოს „კონდოლის სახელწოდებით“. ჯერ კიდევ მე-20 ს-ის 20-30-იანი წლებიდან სოფელს სახელი გაუთქვეს მომღერლებმა გიორგი ამუზაშვილმა (განუმეორებელი მეორე ხმა იყო) და გიორგი ფეიქრიშვილმა. მათ უმღერიათ ლეგენდარულ დედას ლევანასთან (ლევან ასაბაშვილი). სოფლის სიამაყეა ასევე მელბურნის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი მირიან ცალქალამანიძე. მათ შესახებ ბევრს წერდა მაშინ საბჭოთა პრესა.

ასოცირებული პროფესორი ზაურ გუმაშვილი

ჩრდილო კავკასიელთა ეთნიკური განსახლება XVI-XVII საუკუნეებში

ნებისმიერი ხალხის ისტორიის შესწავლის საქმეში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ ხალხის ტერიტორიული განსახლების დადგენას. ამიტომაც ამ სტატიის მიზანს წარმოადგენს აღნიშნული საკითხის დოკუმენტური მასალების გამოყენების საფუძველზე, შედარებითი მეთოდების გამოყენებით სწორი დასკვნების გაკეთება.

ჩრდილო კავკასიის ხალხთა ეთნიკური რუკა, ისევე როგორც ადრეულ ეპოქებში არ რჩებოდა უცვლელი სახით. მრავალი ეთნიკური სახელწოდება, რომელიც წარსულში ცნობილი იყო, თანდათანობით დაიკარგა. მიმდინარეობს მსხვილი ეთნიკური გაერთიანებების ჩამოყალიბების პროცესი. ამ ეთნიკური გაერთიანებების კონსულიდაციის შედეგად ისინი ყალიბდებიან ეთნოსებად, ხალხებად.

XVI-XVII საუკუნეებში რეგიონის ერთ-ერთ მსხვილ ეთნიკურ გაერთიანებას წარმოადგენდნენ ადიღეები, რომლებიც ამ პერიოდის ისტორიულ წყაროებში მოიხსენიებიან ჩერქეზებად. XVII საუკუნის 40-60-იან წლებში ჩერქეზეთის დასავლეთი ნაწილი დაკავებული ჰქონდათ ადიღეთა ტომებს ჟანეევებს და შეგაკებს.

XVII საუკუნის 30-40-იან წლებში ყარაჩაელები მდ. ბაქსანის ზედა წელში მყარად დაფუძნდნენ. ა. ლამბერტის მიერ შედგენილ რუკაზე ყარაჩაელები განსახლებული არიან დღევანდელი ყარაჩაის ტერიტორიაზე.

ოსების ეთნიკური ტერიტორია მდებარეობდა მდ. თერგის ზედა წელის მთიან ხეობებში, მარჯვენა მხარეს. მაგ: გიზელდონი, ფიაგდონი, არდონი და ურუხი. განსახილველი პერიოდისათვის მიმდინარეობდა ოსების ეთნიკური ასიმილაციის პროცესები მეზობელ დიგორის ხეობელებთან.

XVI-XVII საუკუნეებში ვაინახები იკავებდნენ დაახლოებით იგივე ტერიტორიებს, რომლებზედაც ისინი ცხოვრობენ დღესდღეობით. ისინი სახლდებოდნენ ცალკეულ თოხუმებად (ტომობრივ გაერთიანებებად) ე.ი. თემებად. XVI საუკუნის დასასრულისათვის დასრულდა ქისტ-ბაცბების დასახლება თუშეთის ტერიტორიაზე, სადაც ისინი იწოდებიან „წოვა-თუშებად“.

XVI-XVII საუკუნეებში გრძელდებოდა ასევე ავარების დასახლება ჭარ-ბელაქანში. სამხრეთ დაღესტნის მოსახლეობის გარკვეული ნაწილის მიგრაცია კავკასიის მთავარი ქედის სამხრეთით დაკავშირებული იყო მათი საქმიანობის ფორმებთან - მიწათმოქმედებასთან და მეცხოველეობასთან.

მოწვეული მასწავლებელი თამარ ღურწკაია

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი და პოლიტიკური პარტიები 1905-1907 წლებში

1905 წლის იანვარში რუსეთის იმპერიაში დაიწყო პირველი რევოლუცია, რომელმაც პოლიტიკური პროცესების გააქტიურება და რევოლუციური მოძრაობების გაძლიერება გამოიწვია. რევოლუციური ტალღის გავლენით მეფის მთავრობა იძულებული გახდა, გარკვეული დათმობები გაეკეთებინა. თუმცა, ეს დათმობები ხშირ შემთხვევაში მხოლოდ ფორმალურ სახეს ატარებდა. მეფის ხელისუფლება, რეალურად, არ იყო მზად ფუნდამენტური პოლიტიკური ცვლილებებისათვის. ოპოზიციური პოლიტიკური ჯგუფების წინააღმდეგ, მეფის რუსეთის სადამსჯელო რაზმები ხშირად იყენებდნენ ძალადობასა და რეპრესიებს, ცდილობდნენ რევოლუციური მოძრაობების ჩახშობას.

1905 წლიდან საქართველოში მნიშვნელოვანად გააქტიურდა მოძრაობა, რომელიც ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისაკენ იყო მიმართული. აღნიშნულ პროცესში აქტიური მონაწილეობა მიიღეს როგორც სასულიერო პირებმა, ისე საზოგადოების წარმომადგენლებმა. ისინი ცნობილნი იყვნენ როგორც ,,ავტოკეფალისტები" და მიზნად ისახავდნენ ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენას.

მოხსენებაში, საარქივო მასალების ანალიზის საფუძველზე, ასახულია რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხისადმი, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების დამოკიდებულება. გაანალიზებულია ავტოკეფალური მოძრაობის მხარდამჭერი სასულიერო პირების საქმიანობა. მათ მიერ პრესაში გამოქვეყნებული წერილები და სტატიები, რომლებიც კარგად წარმოაჩენს იმ ეპოქისთვის დამახასიათებელ საზოგადოებრივ-რელიგიურ ნარატივებსა და ფასეულობებს.

გარდა ამისა, მოხსენებაში მიმოვიხილეთ მეფის რუსეთის ადგილობრივი ძალისმიერი სტრუქტურების მიერ, ავტოკეფალური მოძრაობის წარმომადგენლების წინააღმდეგ გამოყენებული ბრძოლის მეთოდები და საშუალებები.

III სექცია
ეკონომიკა, ბიზნესი და ტურიზმი

პროფესორი ია ჯიმშიტაშვილი

ხელოვნური ინტელექტის როლი მენეჯმენტში

მოხსენების მიზანია ხელოვნური ინტელექტის მენეჯერულ საქმიანობაში გამოყენების დადებითი მხარეების წარმოჩენა.

გამოყოფილია ბიზნეს პროცესების ის ამოცანები, სადაც შესაძლებელია ხელოვნური ინტელექტის გამოყენება, რათა მმართველობითი პროცესი გახდეს უფრო ეფექტური.

მოყვანილია წარმატებული კომპანიების მაგალითები.

მეთოდი: უცხოური წყაროების ანალიზი.

მიგნებები: საუკეთესო გამოცდილების გაანალიზების შედეგად ჩამოყალიბებულია მენეჯერულ საქმიანობაში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების თანმიმდევრული პროცესი.

რადგან ხელოვნური ინტელექტი ბიზნეს სამყაროს ცვლის, კომპანიის მენეჯმენტმა ინოვაციები იმგვარად უნდა განახორციელოს, რომ არ დაირღვეს ეთიკურ პასუხისმგებლობის ბალანსი. ამავე დროს, გასათვალისწინებელია სამართლებრივი მხარის დაცვაც და ისეთ ისეთ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა, როგორიცაა NIST, ISO 42001 და ევროკავშირის ხელოვნური ინტელექტის შესახებ აქტი,. რაც საშუალებას იძლევა, ინოვაციები წარიმართოს და, ამავდროულად, იურიდიული და ოპერაციული რისკებისგან იყვნენ დაცულები.

ასოცირებული პროფესორი ნანული ხიზანიშვილი

კომპანიის მარკეტინგული გარემო და მასთან დაკავშირებული გამოწვევები

ჩვენი მიზანი არის აღვწეროთ გარემო ძალები, რომლებიც გავლენას ახდენენ კომპანიის შესაძლებლობებზე მოემსახუროს მომხმარებლებს, შევეცდებით განვსაზღვროთ ძირითადი ტენდენციები კომპანიის ბუნებრივ და ტექნოლოგიურ გარემოში, ასევე ავხსნათ როგორ მოქმედებს ეკონომიკური და დემოგრაფიული გარემო მარკეტინგულ გადაწყვეტილებებზე და როგორ შეუძლიათ ფირმებს მარკეტინგულ გარემოზე რეაგირება.

ბუნებრივი გარემო აჩვენებს რამდენიმე ძირითად ტენდენციას: გარკვეული ტიპის ნედლეულის ნაკლებობას,რომელიც მზარდია და ბუნებრივი რესურსების მართვაში მთავრობის ზედმეტად ჩარევას. გარემოსდაცვითი საკითხები ქმნიან მარკეტინგულ შესაძლებლობებს ფხიზლად მყოფი კომპანიებისთვის. ტექნოლოგიური გარემო კი ქმნის როგორც შესაძლებლობებს,ასევე გამოწვევებს კომპანიებისთვის, ისინი ვინც მხარს არ აუბამენ, დარჩებიან ახალი პროდუქციისა და უამრავი შესაძლებლობების მიღმა.

ეკონომიკური გარემო შედგება უამრავი ფაქტორისგან,რომლებიც ახდენენ გავლენას მომხმარებლის მსყიდველობით უნარსა და ხარჯვით ტენდენციებზე. რა თქმაუნდა ქვექნები ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდებიან შემოსავლების დონის მიხედვით,ასეთი ტიპის ქვეყნები კომპანიებს მცირე რაოდენობით შესაძლებლობებს სთავაზობენ.

ასევე მარკეტინგულ გადაწყვეტილებებზე მძლავრად მოქმედებს პოლიტიკურ გარემოში მიმდინარე პროცესები. თითქმის ყველა მარკეტინგული საქმიანობა იმართება გარკვეული კანონებითა და წესებით და სწორედ აქაა პრობლემა რომ ყველა რეგულაცია უნდა იყოს შედეგზე ორიენტირებული, ანუ საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე.

რაც შეეხება დემოგრაფიულ გარემოს ,მოკლედ ვიტყვით რომ, იგი მარკეტოლოგთა მთავარ ინტერესს წარმოადგენს,რადგან ის მოიცავს ადამიანებს,რომლებიც, თავის მხრივ ბაზრებს ქმნიან.

მარკეტოლოგები ფეხდაფეხ მისდევენ დემოგრაფიულ ტენდენციებს,როგორც ქვეყნის შიგნით ,ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ.ისინი ითვალისწინებენ ასაკობრივ ცვლილებებს და ოჯახის სტრუქტურას,მოსახლეობის გეოგრაფიულ გადანაცვლებას,განათლების მაჩვენებლებსა და მოსახლეობის მრავალფეროვნებას.

კომპანიები არამარტო თვალყურს უნდა ადევნებდეს და რეაგირებდეს, მარკეტინდულ გარემოზე მოქმედ ფაქტორებს ,არამედ მის აქტიურ მართვასაც უნდა შეეცადოს. შესაბამისი ქმედებით კომპანიებს ხშირად შეუძლიათ გადალახონ ერთი შეხედვით უკონტროლო გარემო მოვლენები.

ასოცირებული პროფესორი თამარ თამარაშვილი

ეროვნული სუვენირები და ტურიზმის თანამედროვე გამოწვევები

მოხსენებაში „ეროვნული სუვენირები და ტურიზმის თანამედროვე გამოწვევები“, გაანალიზებულია ეროვნული სუვენირების თავისებურებანი, როლი და მნიშვნელობა ტურიზმის განვითარებისათვის. წარმოჩენილია ტურისტულ ინდუსტრიაში სუვენირების ორიგინალობის ეროვნულობის, განსაკუთრებული მახასიათებლები, მოცემულია მისი შესაბამისი ანალიზი.

გაშუქებულია ყველაზე უფრო მოთხოვნადი სუვენირების სახეობები, კლასიფიკაცია, მის შინაარსორივი და მხატვრული დატვირთვის გათვალისწინებით. სუვენირი განხილულია, როგორც ვიზიტორთათვის ერთ ერთი მიმზიდველობის და დაუვიწყარი შთაბეჭდილებების შექმნის საშუალება. ასევე შესწავლილი და წარმოჩენილია ადგილობრივ ტურისტული ბაზრის მოთხოვნები და თავისებურებანი სხვადასხვა სახის სასუვენირო ნაწარმზე.

კვლევის შედეგად შემუშავებულია რეკომენდაციები, რისი გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია ადგილობრივი მეწარმეთათვის და ტურიზმის სექტორში ჩართული პირებისთვის. მოხსენებაში ხაზგასმულია, რომ ტურიზმის მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინება აუცილებელია სუვენირების შექმნისას, აგრეთვე სასურველია, რომ მომავალ თაობებს გადაეცეს სუვენირების დამზადების უძველესი ტრადიციები, წესები, რიტუალები, რომელიც შემოგვრჩა დღემდე საქართველოს სხვადასხვა რეგიონში (როგორც მთაში, ასევე ბარში).

პერიოდულად უნდა ხდებოდეს საქართველოს რეგიონებში სასუვენირო ნაწამის გამოფენები, გაყიდვა, პიარი, ოსტატების წახალისება, ხელშეწყობა. სასუვენირო წარმოების პროცესით დაინტერესებული პირებისათვის მასტერ კლასების მოწყობა.

ვინაიდან ტურისტული სუვენირები, წარმოადგენს მნიშვნელოვან სამახსოვრო ნივთს. საქართველოდან წაღებული სუვენირები წარმოადგენდეს ერთგვარ “მთხრობელს” საქართველოს ისტორიასა და კულტურულ ფასეულობებზე. სასუვენირო წარმოების განვითარება გაფართოებით, ხდება, როგორც ქვეყნის კულტურის პოპულარიზაცია, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა ტურისტულ ბიზნესში. რაც საბოლოო ჯამში დადებითად აისახება, როგორც ქვეყნის ასევე რეგიონების ფინანსურ შემოსავლებზე.

ასოცირებული პროფესორი ნელი ცქიტიშვილი

თანამედროვე მუზეუმის კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამები თელავის ისტორიული მუზეუმის მაგალითზე

მსოფლიოში მიმდინარე ტექნოლოგიურმა პროცესებმა მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან მუზეუმები ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა - ისინი ცდილობდნენ მოდერნიზაციას და დაიწყეს ძიება მუშაობის თანამედროვე მეთოდების დასამკვიდრებლად, რასაც მოჰყვა მუზეუმის ვიზიტორებზე ორიენტირებული საგანმანათლებლო და კულტურული პროექტების შეთავაზება. წარმოდგენილი ნაშრომი **მიზნად** ისახავს თელავის ისტორიული მუზეუმის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის კომპლექსურ ანალიზს. გამოყენებულია როგორც ხარისხობრივი, ისე რაოდენობრივი კვლევის მეთოდები: **1. დოკუმენტური ანალიზი** - გამოყენებული იქნა მუზეუმის შიდა დოკუმენტაცია, პროექტების აღწერები, რითაც მოვახდინეთ მუზეუმის საგანმანათლებლო პოლიტიკის, მისი შინაარსობრივი და სტრუქტურული მახასიათებლების შეფასება. **2. ინტერვიუები და დაკვირვება:** ჩატარდა ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუები თელავის ისტორიული მუზეუმის საგანმანათლებლო განყოფილების ხელმძღვანელთან და კოორდინატორებთან. დამატებით გამოვკითხეთ ადგილობრივი სკოლების პედაგოგები და მუზეუმის რეგულარული ვიზიტორები. **3. პროგრამული მასალის ანალიზი:** განხორციელდა მუზეუმის მიერ შემუშავებული საგანმანათლებლო პროექტების, მასტერკლასების და თემატური ღონისძიებების შინაარსობრივი ანალიზი, განხილულ იქნა მათი სტრუქტურა, მიზნობრივი ჯგუფები, სასწავლო მიზნები და ინტერაქტიული კომპონენტები. ანალიზის მიზანს წარმოადგენდა პროგრამების ეფექტიანობის, ასაკობრივი და თემატური მიზანშეწონილობის შეფასება. თელავის ისტორიული მუზეუმის კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამების შესწავლის შედეგად ჩამოვაყალიბეთ შემდეგი **მიგნებები და დასკვნები:** მუზეუმი აღარ არის მხოლოდ ექსპონატების საცავი, არამედ - აქტიური საგანმანათლებლო და კულტურული პლატფორმაა; ვიზიტორი აღიქმება როგორც არა მხოლოდ დამთვალიერებელი, არამედ სამუზეუმო აქტივობების თანამონაწილე; თელავის მუზეუმის საგანმანათლებლო პროგრამები ხელს უწყობს სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ჩართულობას, ახალგაზრდებში აყალიბებს კრიტიკულ აზროვნებას და აცოცხლებს ისტორიულ მეხსიერებას, ავითარებს კულტურულ ცნობიერებასა და ეროვნული იდენტობის განცდას; პროგრამები მოიცავს საგანმანათლებლო ექსკურსიებს, ვორქშოპებს, კონფერენციებს, თემატურ გაკვეთილებს და სხვ. მუზეუმი პოზიციონირდება როგორც საქართველოს ტურიზმის მნიშვნელოვანი დესტინაცია და კახეთის რეგიონის კულტურული ცენტრი.

პროფესორი ნანა რინკიაშვილი

ეფექტიანი ბიზნეს მოდელები და მათი მნიშვნელობა კონკურენტუნარიანი ეკონომიკის ჩამოყალიბებაში

განვითარების თანამედროვე ეტაპზე ფირმები ცდილობენ მოიპოვონ მდგრადი კონკურენტული უპირატესობა ბაზარზე. ისინი მიისწრაფიან შექმნან ძლიერი ბიზნეს მოდელები. ეფექტური ბიზნეს მოდელები რესურსებისა და შესაძლებლობების საუკეთესო შეთავსების კონბინაციაა კონკურენტული უპირატესობის მისაღწევად. კარგი პროდუქტი/მომსახურება, ასევე ინოვაციური მიდგომები და ტექნოლოგიები არ არის ბაზარზე წარმატების გარანტი. განვითარების თანამედროვე ეტაპზე ბიზნესის წარმატებისათვის დიდ როლს ასრულებს ეფექტური ბიზნეს მოდელები, რომლებიც მათ საშუალებას აძლევს დააკმაყოფილონ კლიენტების საჭიროებები კონკურენტულ ფასად და მდგრადი დანახარჯებით.

ნაშრომის მიზანია კონკურენტული ეკონომიკის ჩამოყალიბებაში ეფექტიანი ბიზნეს მოდელების როლის შესწავლა.

ნაშრომში გამოყენებული იყო ეროვნული და უცხოური სამეცნიერო ლიტერატურა, სხვადასხვა ინტერნეტწყაროები.

ბიზნეს მოდელები შედარებით ნაკლებ ყურადღებას იპყრობს ბიზნესის კონკურენტუპირატესობისა ზრდის განხილვაში

მნიშვნელოვანია მეწარმეებმა ყურადღება გაამახვილონ, მათი ბიზნეს მოდელები რამდენად შესაბამისობაშია კომპანიის მიზნებთან;

სხვა კომპანიის ბიზნეს მოდელის გამოყენება/კოპირება ნაკლებად სავარაუდოა რომ იყოს წარმატების გარანტია, თუმცა მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ დროთა განმავლობაში კონკურენტებმა შეიძლება მოახდინონ ინოვაციური ბიზნეს მოდელის გამორჩეული მახასიათებლების იმიტაციას.

გარემოში მიმდინარე ცვლილებებმა შეიძლება შეამციროს ბიზნეს მოდელის ეფექტურობა. ამიტომ, ფირმებმა მუდმივად უნდა გადახედონ და დახვეწონ საკუთარი ბიზნეს მოდელები

დოქტორანტი ლევან ფეიქრიშვილი

საკადრო გადინების რისკები და გამოწვევები

ხელმძღვანელი: პროფესორი ნანა რინკიაშვილი

ბიზნესი ხშირად ჩივის იმის შესახებ, რომ მათ მიერ შრომითი პირობებზე გაწეულულ ხარჯებს დროებითი ეფექტი ჰქონდა, ასევე აღნიშნავენ, რომ სახელფასო პირობების ზრდასაც მოკლევადიანი ეფექტი გააჩნდა და გრძელ ვადიან პერიოდში ვერ მიიღეს მწარმოებლურობის ზრდა. აინტერესებთ, თუ როგორ მოახდინონ სამოტივაციო ხარჯების განაწილება ისე, რომ მაქსიმალურად იყოს შენარჩუნებული უკუგების ეფექტი. პარადიგმადაა ქცეული თეორია, რომ დასაქმებულთა შრომითი განწყობა კომპანიის მწარმოებლურობაზე პირდაპირპროპორციულად აისახება, აქედან გამომდინარე მეტად მნიშვნელოვანია მენეჯმეტმა წინასწარ განსაზღვროს დასაქმებულთა მხრიდან კომპანიისადმი პოზიტიური დამოკიდებულება და ასეთის არ არსებობის შემთხვევაში გამოასწოროს პრობლემური ასპექტები. აღნიშნულიდან გამომდინარე ნაშრომის მიზანია საკადრო გადინების რისკების შესწავლა და შრომის მწარმოებლურობის ამღლება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარებული კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველძე ნაშრომში შემუშავებულია სათანადო დასკვნები:

- კმაყოფილი დასაქმებულები ენდობიან კომპანიის მენეჯმეტს და უახლესი წლების განმავლობაში საკუთარ მომავალს კომპანიის განვითარების პერსპექტივებს უკავშირებენ .
- შრომითი კმაყოფილება წარმოადგენს საშუალებას სამოტივაციო პოლიტიკის გასატარებლად.
- არამოტივირებული შრომის პირობებში ვითარდება ნაკლებპროდუქტიული დრო.
- მოტივირებული კადრები მაგრამ ნაკლები გამოცდილებით, გამოირჩევიან მეტი მწარმოებლურობით, ვიდრე გამოცდილი კადრები მოტივაციის გარეშე.
- ანაზღაურების პირობით კმაყოფილების ზრდა, არ იძლევა ეფექტს მწარმოებლურობის გასაზრდელად.
- კომპანიაში უნდა არსებობდეს საკმარისი შრომითი კმაყოფილება, იმისათვის, რომ დასაქმებულები დათანხმდნენ სამოტივაციო პოლიტიკაში ჩართვას.
- მოტივაციის გარეშე და ნაკლები გამოცდილების კადრები აფერხებენ წარმოების ტემპს. შესაბამისად ყალიბდება ნაკლებადპროდუქტიული დრო.

IV სექცია
განათლების მეცნიერებები

ასოც. პროფესორი ია ჩაქიაშვილი-კალმახელიძე
ასოც. პროფესორი შორენა ძამუკაშვილი
ასისტენტ პროფესორი ნინო გიგილაშვილი

წინასაგამოცდო შფოთვის კვლევა სტუდენტებში იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგალითზე

თანამედროვე ეპოქა ახალგაზრდების წინაშე ახალ ამოცანებს აყენებს, განსხვავებით წინა წლებისგან. განათლებული პიროვნების ფორმირებისთვის აუცილებელია მასში ისეთი თვისებების ჩამოყალიბება, როგორიც არის : თავშეკავებულობა, შრომისმოყვარეობა, დაბრკოლებების გადალახვის უნარი. მნიშვნელოვნად გაიზარდა მოთხოვნები უმაღლეს სასწავლებელში სწავლის პროცესისადმი. სტუდენტის ცხოვრება მოითხოვს, განსხვავებით სკოლის მოსწავლეობის პერიოდიდან, გაცილებით დიდი და რთული ინფორმაციის გადამუშავებას, რაც დაკავშირებულია შინაგანი რესურსების მაქსიმალურ კონცენტრაციასთან. როდესაც გაქვს შფოთვა, ძნელია მოახდინო ყურადღების კონცენტრაცია იმ ამოცანაზე (დავალებაზე), რომელიც მოითხოვს ინტელექტუალურ ძალებს გამოცდის მოსამზადებლად, ან ჩასაბარებლად. შფოთვას შეუძლია კოგნიტური ფუნქციების გაუარესება: აზროვნების, მეხსიერების, აღქმის, ინფორმაციის გადამუშავების, რის გამოც სწავლის ხარისხი ეცემა. სტუდენტებში შფოთვის მაღალი დონე მათი თვითრეალიზების, სრულფასოვანი პიროვნული ზრდის და სწავლებაში წარმატების ხელისშემშლელია.

ნაშრომში განხილულია კვლევის შედეგები, რომელიც განხორციელდა იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან. კვლევის მიზანი იყო წინასაგამოცდო პერიოდში შფოთვის დონის მაჩვენებელების დადგენა სტუდენტებში და რეკომენდაციების შემუშავება. კვლევაში მონაწილეობა მიიღო აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების, განათლების, ჰუმანიტარული და სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის 117 სტუდენტმა. კვლევა იყო ანონიმური. განხორციელდა გამოცდებზე შესვლის წინ, გამოყენებული იქნა შფოთვის ადმინისტრირების კითხვარი GAD- 7 (Spitzer et al., 2006). გამოიკვეთა ის მიგნებები, რაც უკავშირდება ნახევარ რესპოდენტებში მაინც შფოთვის მაღალ მაჩვენებლებს, შფოთვის ზემოქმედების ინტენსივობას წინასაგამოცდო ორი კვირის მანძილზე.

შფოთვის მომატებისას ადამიანი კარგავს ქცევის შესრულების ეფექტურობას, სტუდენტი ვერ ავლენს თავის შესაძლებლობებს, რაც აუარესებს სტუდენტების წარმატებულობას. საჭიროა ლექტორმა შეუმუშაოს სტუდენტებს დადებითი განწყობა შესასრულებელი დავალებების მიმართ, სტუდენტი ფლობდეს ცოდნას გამოცდაზე გამოყოფილი დროის რაციონალური გამოყენების შესახებ. სტუდენტის შფოთვა ზომიერების ფარგლებში როდესაც არის, ის უკვე მის მოტივაციად იქცევა.

ასოცირებული პროფესორი ნინო ბასილაშვილი

რეკლამის ფსიქოლოგია და მისი როლი ბიზნესის განვითარებაში

რეკლამა არის ნებისმიერი გზით და ფორმით გავრცელებული ინფორმაცია, რომელიც ადამიანების განსაზღვრული წრისთვის სარეკლამო საქონელზე ყურადღების მისაქცევად, ინტერესის ჩამოსაყალიბებლად, შესანარჩუნებლად და ბაზარზე მისი გატანისთვის გამოიყენება. რეკლამის მიზანია მიზნობრივი აუდიტორია განაწყოს გარკვეული მოქმედებისკენ. მიზნების მიხედვით განასხვავებენ: **საინფორმაციო, დაყოლიებით** და **შეხსენებით** რეკლამას.

რეკლამის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია, პოტენციურ მომხმარებელს შეუქმნას ფსიქოლოგიური განწყობა კონკრეტული საქონლის შესაძენად. ფსიქოლოგია და სოციოლოგია ინტენსიურად სწავლობენ მასობრივი მყიდველის ფსიქოლოგიას, მათი ქცევის განმაპირობებელ და წარმმართველ იმპულსებს, მოტივებს, მოთხოვნილებებს . ჩვენი კვლევის მიზანია დავადგინოთ რა ფსიქოლოგიური ფაქტორები მოქმედებენ ადამიანებზე, რა გავლენას ახდენს რეკლამა და როგორ აისახება ის ბიზნესის განვითარებაზე.

პოტენციური მომხმარებლის სიღრმისეული ფსიქოლოგიური დამოკიდებულებების დადგენით, შედარებით იოლია მასზე იმგვარი რეკლამით ზემოქმედება, რომელიც შედარებით მარტივია და სწრაფად იწვევს ადამიანის დაარწმუნებას. რეკლამა შეგვიძლია განვიხილოთ როგორც მარკეტინგისა და საბაზრო ოპერაციების შემადგენელი ერთ-ერთი კომპონენტი. სარეკლამო საქმიანობის მთავარი მიზანია ადამიანების მოზიდვა ამა თუ იმ მარკის პროდუქციის შესაძენად, რაც მომხმარებელზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების გზით ხორციელდება. აღმოჩნდა, რომ ყველაზე უბრალო სარეკლამო ლოზუნგს ან გამოსახულებას ადამიანები აღიქვამენ შინაგანი ფსიქოლოგიური კანონების მიხედვით. რეკლამის ფსიქოლოგია სწავლობს ადამიანის ტვინზე რეკლამის ზემოქმედების მექანიზმებს და ასევე სხვადასხვა გამომსახველობითი ხერხების (ტექსტი, გამოსახულება, ფერები, გრაფიკული გაფორმება და ა.შ.) აღქმის თავისებურებებს.

კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ კარგად გათვლილი რეკლამა საკმაოდ ზრდის ბიზნესის განვითარებას, მისი როლი მნიშვნელოვანია, როგორც მცირე ასევე მსხვილი ბიზნესის განვითარებაში. თუმცა აღსანიშნავია, რომ რეკლამა არ უნდა იყოს მომაბეზრებელი და ადამიანში უნდა იწვევდეს დადებით ემოციებს.

ასოცირებული პროფესორი ჰამლეტ რაზმაძე

ფიზიკური დატვირთვის გავლენა გულსისხლძარღვთა სისტემაზე

სისხლის მნიშვნელოვანი ფუნქციები ხოეციელდება მისი განუწყვეტელი მოძრაობით, საკმარისია შეწყდეს მისი მოძრაობა, რომ ადამიანი თუ ცხოველი რამოდენიმე წუთში დაიღუპება. სისხლის მოძრაობას ორგანიზმში წარმართავს გული. ადამიანის გული შედგება ოთხი კამერისაგან - ორი წინაგულისა და ორი პარკუჭისაგან. გულის მუშაობის ციკლი შედგება სამი ფაზისაგან:

1. გულის შეკუმშვა, რომელსაც სისტოდა ეწოდება;
2. გულის მოდუნება ანუ დიასტოლა;
3. გული შესვენება ანუ პაუზა, რომლის განმავლობაში გულის ყველა ნაწილი ისვენებს.

გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ გულის მუშაობის თვითოეული ციკლი საშუალოდ გრძელდება (0,1 +0,3 + 0,4) სულ 8 წამს. თუ შევაჯამებთ ყველას გამოდის, რომ დრე-რამის განმავლობაში წინა გულები მუშაობენ სამი საათის განმავლობაში, ისვენებენ 21 საათს. ეს მოცემული ციფრები და რიცხვები ასახავს გულის ისეთ მოქმედებას, რომელიც წუთში იკუმშება 75-ჯერ. მრავალი გამოკვლევის შედეგად დადგენილია, რომ სისტემატური ვარჯიშის შედეგად გულის მუშაობის რიტმი ქვეითდება და კარგად გაწვრთვნილ სპორტსმენებში მოსვენებულ მდგომარეობაში უდრის 40-50 . ფიზიკური დატვირთვის შედეგად გულის მუშაობის რიტმი იცვლება და ამ მხრივაც გარკვეული განსხვავებაა გაწვრთვნილ და გაუწვრთნელ ადამიანებს შორის. უახლესი მონაცემების მიხედვით გაწვრთვნილ სპორტსმენებში გულის მოქმედების სიხშირე წუთში აღემატება 200-220 სისტოლას. გულის სისტოლური და წუთური მოცულობა განისაზღვრება შემდეგნაირად: სისხლის იმ რაოდენობას, რომელსაც თვითოეული პარკუჭი ერთი შეკუმშვის დროს ამოსტყორცნის სისხლძარღვებში, ეწოდა სისტოლური მოცულობა.მოსვენებულ მდგომარეობაში მყოფი ადამიანი გულის სისტოლური მოცულობა უდრის 65-75 და იგი თანაბარია , როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა პარკუჭისათვის. შედარებით მოსვენებულ მდგომარეობაში მყოფი სრულფასოვანი ადამიანის გული ერთ წუთის განმავლობაში ამოისვრის 4,5 – 5 ლიტრს. ფიზიკური დატვირთვის დროს გულის მუშაობის გახშირების პარალელურად, როგორც სისტოლური ისე წუთური მოცულობა მატულობს და სისტოლურ მოცულობამ შეიძლება მიაღწიოს წუთში 200 მლ-მდე. ხოლო წუთური მოცულობა 30-40 ლიტრამდე. გულის ინერვაცია ხორციელდება ცენტრალური ნერვული სისტემით. გულის მოქმედების რიტმი მკვეთრად იცვლება იმის მიხედვით თურა მდგომარეობაშია ორგანიზმი. ფიზიკური ვარჯიშები დადებით გავლენას ახდენს გულის მუშაობის რიტმზე, ზრდის გულის მუშაობის უნარიანობას. ეს კი უწყობს ხელს ორგანიზმს ჯანმრთელობის შენარჩუნებაში.

პროფესორი ნინო მოდებაძე
ასოცირებული პროფესორი ნათია გაბაშვილი

სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მეთოდების და მიდგომების გამოყენება

სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება ეს არის ფენომენი, რომელიც თარიღდება უძველესი საბერძნეთის დროიდან. მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება დაკავშირებულია საბერძნეთის ისტორიის კლასიკურ პერიოდთან, სტუდენტზე ორიენტირებული განათლების თანამედროვე საწყისები სათავეს იღებს მე-18 საუკუნეში რომანტიული მოძრაობიდან.ეს იყო ფრანგი ფილოსოფოსი ჟან-ჟაკ რუსო, რომელმაც წამოაყენა იდეა, რომ განათლება უნდა ადაპტირებული იყოს სტუდენტის საჭიროებებთან, მათ ასაკთან და კოგნიტური განვითარების დონესთან. ამას გარდა, მას მიაჩნდა, რომ მოსწავლეები აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულნი სასწავლო პროცესში.შერჩეული აქტივობები და ამოცანები ქმნიან პირობებს, რათა სტუდენტები ჩაერთონ საკუთარი ცოდნისა და უნარ-ჩვევების განვითარებაში სხვადასხვა სახის სასწავლო პრაქტიკაში მონაწილეობის მიღებით, რაც უზრუნველყოფს პრობლემების სხვადასხვა გადაწყვეტილებების შესწავლას, ექსპერიმენტების ჩატარებას, კრიტიკულ აზროვნებას, სისტემურ ანალიზსა და სხვა შესაძლებლობებს.

ნაშრომში განხილულია სტუდენტზე ორიენტირებული მეთოდებისა და მიდგომების სახეობები: პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა (PBL), დავალებაზე დაფუძნებული სწავლება (TBL), აღმოჩენითი სწავლება, პროექტზე დაფუძნებული სწავლება. სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება არის სასწავლო გარემოში სტუდენტებისა და სხვა მოსწავლეებისთვის თვისობრივი ტრანსფორმაციის პროცესი, რომელიც მიზნად ისახავს მათი ავტონომიისა და კრიტიკული უნარების გაძლიერებას შედეგზე დაფუძნებული მიდგომით.აქედან გამომდინარე, აუცილებელია სწავლებისას შეიქმნას სტუდენტებისთვის ისეთ აქტივობებში ჩართულობის საშუალება, რომლებიც მათ კვლევის, შემოქმედებითობისა და აქტიური კომუნიკაციის საშუალებას მისცემს. სწავლა აქტიური პროცესია, რომელშიც მოსწავლეები ქმნიან ახალ წარმოდგენებს ან კონცეფციებს მათი ამჟამინდელი ან წარსულის ცოდნის გამოყენებით. აღნიშნული მიდგომები სტუდენტს აკისრებს პასუხისმგებლობას საკუთარი სწავლისთვის, ხოლო მასწავლებელს განიხილავს როგორც ფასილიტატორს, რომელიც მოსწავლეებს დახმარებას უწევს ინდივიდუალური საჭიროებების,სწავლის სტილისა და სწავლის ტემპის გათვალისწინებით.

პროფესორი დავით მახაშვილი
ასისტენტ პროფესორი მაკა სიდამონიძე

თვითრეგულირებადი სწავლის ხელშეწყობა და მოსწავლეთა დამოუკიდებლობის წახალისება

ეროვნული სასწავლო გეგმა ფოკუსს მიმართავს იმ ტიპის კურიკულუმისაკენ, რომელიც აკადემიურ უნარებთან ერთად განიხილავს მოსწავლეთა ფუნქციური უნარების განვითარებას და ისინი, ხშირად, ურთიერთგანმაპირობებელია.

მოსწავლეთა თვითრეგულაცია სოციალური დასწავლის თეორიას ეყრდნობა და საკმაოდ კარგად ასაბუთებს მოსწავლის ამ უნარის საჭიროებას საზოგადოებაში ეფექტური ინტეგრაციისათვის. მას მყარი მეთოდოლოგიური საფუძველი გააჩნია და სხვადასხვა თეორიებსა და პრაქტიკული კვლევებს ითვალისწინებს.

მოსწავლეთა ქცევას შეიძლება მნიშვნელოვნად აკონტროლებდნენ სხვა ადამიანები: მშობლები, მასწავლებლები და სხვა; ბავშვის ზრდასთან ერთად იზრდება ის პასუხისმგებლობაც, რომელსაც იგი საკუთარ ქცევაზე იღებს. მოზრდილი ბავშვი თვითონ წარმართავს და აკონტროლებენ თავიანთ ქცევას და აზროვნების პროცესებს დასახული მიზნების მისაღწევად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მათი თვითრეგულაციის უნარი თანდათანობით იზრდება.

თვითრეგულაციის უნარების განვითარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სსსმ მოსწავლეებისათვის ელემენტარული თვითმოვლისა და საზოგადოებაში დამკვიდრებისათვის. ეს მიდგომა მხარდაჭერილია მრავალი ფსიქოლოგისა და პედაგოგის მიერ. თვითრეგულაციური უნარები ეხმარება ინდივიდებს, მართონ საკუთარი ქცევა და გაიუმჯობესონ ყოველდღიური ცხოვრების ხარისხი.

არცთუ იშვიათად, დასწავლის უნარის დარღვევის დროს ბავშვებს სწავლის მიმართ დაბალი მოტივაცია აქვთ, რადგან, თავს გარიყულად გრძნობენ და აქვთ დაბალი თვითშეფასება. თუმცა, ადეკვატური საგანმანათლებლო ინტერვენციების გამოყენებით ეს გამოწვევა შესაძლოა დაიძლიოს და მოსწავლეს თვითშეფასებაც აუმაღლდეს.

ასოცირებული პროფესორი თამარ მიქელაძე

სტუდენტების რეფლექსიური ნაწერის შეფასება

მასწავლებელთა განათლებაში რეფლექსიური უნარების განვითარება მნიშვნელოვანი და აუცილებელია. ერთ-ერთი ეფექტური მიდგომაა რეფლექსიური წერა, რომელიც მასწავლებელთა მომზადების პროგრამაში სავალდებულო კომპონენტად იქცა. რეფლექსიური პრაქტიკა წახალისებულია როგორც თეორიული კურსების, ისე სკოლის პრაქტიკის ფარგლებში და მოიცავს ისეთ აქტივობებს, როგორიცაა ლექციებზე რეფლექსიური ჩანაწერების გაკეთება, გაკვეთილებზე დაკვირვება და პიროვნულ-პროფესიულ განვითარებაზე ფიქრი (ქოჰენ-საიაგი & ფიშლი, 2012). რეფლექსიური წერა შეიძლება იყოს როგორც თავისუფალი, ასევე სტრუქტურირებული. ხშირად იგი ხორციელდება რეფლექსიური ესეების სახით, რომლებიც კურსის დავალებებშია ინტეგრირებული. ასეთ ესეებში სტუდენტები აღწერენ მოვლენას ან თემას, გამოხატავენ საკუთარ გრძნობებს და ამყარებენ კავშირს გამოცდილებასა ან თემასთან (ჩონგი და სხვა 2020), რეფლექსია ღირებულია და წარმოადგენს პროფესიული განვითარების ინსტრუმენტს, თუ იგი მოიცავს მაღალ სააზროვნო უნარებს, რაც ხშირად გამოწვევაა სტუდენტებისთვის.

მნიშვნელოვანია მომავალი პედაგოგის რეფლექსიური ნაწერის შეფასება და უკუკავშირის მიწოდება. მაგრამ როგორ უნდა მოხდეს რეფლექსიური ჩანაწერების შეფასება? ამ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად დაიგეგმა თვისებრივი კვლევა, ლიტერატურის ანალიზი - სამაგიდე კვლევა, რომ მოგვეძებნა რეფლექსიური ნაწერის შეფასების მოდელები შემუშავებული ბოლო 25 წლის განმავლობაში. ინგლისურ ენაზე მოვიძიეთ სტატიები შემდეგი საკვანძო სიტყვებით: „ რეფლექსიური მოდელი“, „რეფლესიური აზროვნების დონეები“ და „რეფლექსიის დონეები“ Google Scholar ბაზაში. კვლევის შედეგად გავაანალიზეთ 16 რეფლექსიის მოდელი.

2000 წლის შემდეგ შემუშავებული რეფლექსიის მოდელები ხაზს უსვამს ზედაპირული დონის აზროვნებიდან - ღრმა, კრიტიკულ აზროვნებაზე გადასვლას. ამ მოდელებიდან რამოდენიმეს გააჩნია მრავალდონიან სტრუქტურა- აღწერილობითი ან ტექნიკური რეფლექსიიდან მიემართება დიალოგურ, გამიზნულ ან საბოლოო ჯამში კრიტიკულ და ტრანსფორმაციულ რეფლექსიაზე. მაგალითად, პაუ და ვან დერ ვენი (2005) გვთავაზობენ რეფლექსიის ინსტრუმენტულ, არსებით და კრიტიკულ დონეებს, ხოლო მაკლელანი (2004) ოთხდონიან მოდელს უმატებს ისეთ განზომილებებს, როგორიცაა კონცეპტუალიზაცია და სიზუსტე, რომელიც კრიტიკულ აზროვნებაში კულმინაციას აღწევს. არსებული რეფლექსიის მოდელების მრავალფეროვნება გვთავაზობს ღირებულ ჩარჩოებს რეფლექსიური აქტივობების შესაქმნელად, რომლებიც ხელს უწყობს უფრო ღრმა აზროვნებას; სტრუქტურირებული რეფლექსიის დონეების - აღწერილობიდან კრიტიკულ ან ტრანსფორმაციულ დონემდე - მიღწევას.

აკადემიური პროგრამის ფარგლებში ასევე უნდა განიხილებოდეს თანამშრომლობითი რეფლექსიის პრაქტიკები, როგორიცაა სტუდენტთა დისკუსიები, რამაც შეიძლება ხელი შეუწყოს მაღალ სააზროვნო საფეხურზე გადასვლას და უზრუნველყოს საკითხის ალტერნატიული ხედვა. მოცემული რეფლექსიის ჩარჩოების გამოყენებით პრაქტიკის ხელმძღვანელმა ან მენტორ მასწავლებელმა შეუძლია მიაწოდოს ეფექტური უკუკავშირი მომავალ პედაგოგებს რეფლექსიური კომპეტენციის მდგრადი განვითარებისთვის.

პროფესორი ნინო ნახუცრიშვილი

ეფექტიანი სასწავლო აქტივობები მათემატიკაში და მათი გამოყენება დაწყებით საფეხურზე

სწავლა ეფექტიანია მაშინ, როცა ის უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურ ჩართვას და თანამონაწილეობას პროცესში. სწავლის ეფექტიანობას მრავალი ფაქტორი განსაზღვრავს. მათგან გამოვყოფთ სასწავლო აქტივობებს, რომელთაც გამორჩეულად დიდი როლი აკისრია დაწყებით საფეხურზე მათემატიკის სწავლებისას;

საკითხის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ ეფექტიანი აქტივობების შემუშავება-განხორციელებას აქვს თავისი თეორიული საფუძვლები, ემყარება რა მოსწავლის გამოცდილებას, მის მზაობას, შესაძლებლობებს, განვითარების დონეს და ა. შ. არაერთი თეორია თუ მეცნიერთა იდეები შეგვიძლია განვიხილოთ ეფექტიანი სასწავლო აქტივობების თეორიულ საფუძვლად. მათგან გამოვყოფთ დუის, ვიგოტსკის, პიაჟეს, ბლუმის, ბრუნერის და სხვათა თეორიებს, რაც უშუალოდ სწავლის პროცესს და ბავშვის განვითარებას ეხება; მათემატიკური აქტივობების შედგენა, დაგეგმვა-განხორციელება ეფექტიანობას აღწევს, როდესაც ეყრდნობა აღნიშნულ თეორიებს, იდეებს და გათვალისწინებულია ყველა შესაბამისი მოთხოვნები: არის ასაკის შესაბამისი, მიმზიდველია, ხალისიანია, გათვალისწინებულია მოსწავლეთა მზაობა და საჭიროებები, აღძრავს ინტერესს, მოტივაციას, დაკავშირებულია რეალურ ცხოვრებასთან, რეალობიდან აღებული პრობლემების გადაწყვეტასთან. დაკვირვებამ აჩვენა, რომ დაწყებით საფეხურზე მათემატიკის სწავლებისას ბევრად შედეგიანი და ეფექტიანია კოლაბორაციული და ინტერაქტიური აქტივობები, სადაც მოითხოვება წყვილებში, ჯგუფურად ,,პრობლემის“ გადაწყვეტის გზების ერთობლივად მოძიება, მათგან ყველაზე ოპტიმალურის შერჩევა, აზრის არგუმენტირებულად გამოხატვა, დასაბუთება, განსხვავებული აზრის გათვალისწინება და ,,მიღება“. ამგვარი აქტივობები მნიშვნელოვნად ავითარებს მოსწავლეთა აზროვნებით უნარებს: კრიტიკულ, შემოქმედებით, ლოგიკურ აზროვნებას;

მათემატიკის სასკოლო კურსი იძლევა შესაძლებლობას, რომ მოსწავლეებს დაწყებითი საფეხურიდანვე შევთავაზოთ აქტივობები, რომლებიც შეიცავს მრავალმხრივ ნაბიჯებს (მაგ. დაკვირვა, შედარება, გამოთვლა, შეფასება), რაც ხელს უწყობს მოსწავლის აზროვნების და უნარების განვითარებას ბლუმის ტაქსონომიის შესაბამისად. მოსწავლეთა ასაკის გათვალისწინებით აქტივობების ეფექტიანობას ზრდის თამაშის ელემენტები, ელექტრონული რესურსების გამოყენება, ვიზუალურ და მანიპულაციურ მასალებთან მუშაობა, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაწყებით საფეხურზე; ამგვარი აქტივობები საფუძველს უყრის სწავლისადმი მოტივაციის ჩამოყალიბებას, იზრდება თვითშეფასება, საკუთარი შესაძლებლობის ,,აღმოჩენა“, რაც პოზიტიურად განაწყობს მოსწავლეს მათემატიკის შესწავლისადმი.

ასოცირებული პროფესორი სალომე თათულიშვილი

ინტერაქტიური სწავლების სტრატეგიები და მათი გავლენა სტუდენტთა კრიტიკულ აზროვნებაზე

თანამედროვე საგანმანათლებლო გარემოში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ისეთ უნარებს, როგორიცაა კრიტიკული აზროვნება, არგუმენტირებული მსჯელობა და დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღება. ტრადიციული, ლექციური სწავლების მოდელი ხშირად ვერ უზრუნველყოფს აღნიშნული უნარების ეფექტიან განვითარებას. კვლევის ძირითადი აქცენტი გაკეთებულია ინტერაქტიული სწავლების სტრატეგიებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ სტუდენტთა აქტიურ ჩართულობას და ამ გზით აძლიერებენ მათ კრიტიკულ აზროვნებას.

კვლევის მიზნად განისაზღვრა ინტერაქტიული სწავლების სტრატეგიების ეფექტიანობის შეფასება სტუდენტთა კრიტიკული აზროვნების კომპონენტების განვითარებაზე ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების კონტექსტში.

კვლევის მეთოდად გამოყენებული იქნა რაოდენობრივი მეთოდი. Google Forms-ის პლატფორმაზე შედგენილ კითხვარში მონაწილეობა მიიღო განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დაახლოებით 50 სტუდენტმა. ანალიზი მოიცავდა როგორც დახურული კითხვების რაოდენობრივ დამუშავებას, ისე ღია პასუხების თემატურ ანალიზს.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ სტუდენტთა 58.7% სრულად ან ნაწილობრივ ეთანხმება ინტერაქტიულ სწავლებაში მონაწილეობას. კრიტიკული აზროვნების კომპონენტებთან მიმართებაში განსაკუთრებით მაღალი იყო თანხმობა შემდეგ საკითხებზე:

- სხვადასხვა თვალსაზრისის ანალიზის უნარი (65.2%)
- არგუმენტირებული კომუნიკაციის გაძლიერება (60.8%)
- ლოგიკური მსჯელობის ჩამოყალიბება (67.4%)

თემატური ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ სტუდენტებისთვის ყველაზე ეფექტური სტრატეგიებია: ჯგუფური დისკუსია და დებატები, შემთხვევის ანალიზი, პრობლემაზე და პროექტზე დაფუძნებული სწავლება, როლური თამაშები. ღია პასუხებში სტუდენტებმა გამოყვეს, რომ აღნიშნული აქტივობები ავითარებდა მათ ანალიტიკურ და არგუმენტირებულ აზროვნებას, ზრდიდა ჩართულობას და ხელს უწყობდა დამოუკიდებელი პოზიციის ჩამოყალიბებას.

ამრიგად, ინტერაქტიული სწავლების სტრატეგიები მნიშვნელოვანწილად უწყობს ხელს სტუდენტთა კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებას, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მათი სისტემური ინტეგრაციისა და მუდმივი გამოყენების აუცილებლობას სასწავლო პროცესში.

ასოცირებული პროფესორი ნათელა ბაღათრიშვილი
ასოცირებული პროფესორი ანა გიგაური

ვირტუალური ლაბორატორიების გამოყენება სასწავლო პროცესში

თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში რეალურ პროლემას წარმოადგენს მოსწავლეთა დაბალი მოტივაცია საბუნებისმეტყველო საგნების სწავლის მიმართ. ამიტომ, მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის გამდიდრება და გამრავალფეროვნება სხვადასხვა აქტივობით, მეთოდითა და მიდგომით. კვლევაზე დაფუძნებული სწავლება ერთ-ერთი საუკეთესო მიდგომაა, რომელიც საინტერესოს, მამოტივირებელსა და სახალისოს ხდის სწავლის პროცესს. მით უფრო, თუ კვლევითი აქტოვობების განხორციელებაში ტექნოლოგიები ჩაერთვება. ამ მიზნით, სასწავლო პროცესში ინტენსიურად დავნერგეთ ვირტუალური კვლევითი ლაბორატორია https://phet.colorado.edu/, რომელიც ფართოდ გამოიყენება განათლებაში, დაწყებითი სკოლიდან საუნივერსიტეტო დონის ჩათვლით და მოსწავლეებსა და სტუდენტებს ეხმარება რთული ცნებების ვიზუალიზაციასა და გაგებაში. ისინი მოიცავს თემების ფართო სპექტრს, მათ შორის ფიზიკას, ქიმიას, ბიოლოგიას, დედამიწის მეცნიერებას და მათემატიკას. ეს სიმულაციები შექმნილია იმისათვის, რომ მოსწავლეები და სტუდენტები ინტუიციური, თამაშის მსგავსი გარემოს მეშვეობით ჩაერთვნენ სასწავლო პროცესში, რომელიც ხელს უწყობს კვლევასა და აღმოჩენას. აპლიკაცია ინგლისურენოვანია და საჭიროებს ინგლისური ენისა და საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლების მჭიდრო თანამშრომლობას, რადგან დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს აქვთ ინგლისური ენის არასაკმარისი კომპეტენცია, უჭირთ აღიქვან და გაიაზრონ დავალების პირობა, ინსტრუქცია თუ შინაარსი. მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება ვირტუალური ლაბორატორიის გამოყენებისათვის საჭირო სასწავლო მეთოდური რესურსი და სამუშაო ფურცლები ინგლისური ენისა და საბუნებისმეტყველო საგნების ინტეგრირების გათვალისწინებით. ნაშრომში წარმოდგენილია ვირტუალურ ლაბორატორიაში მუშაობის სასწავლო მოდული, რომელიც დაინერგა საბუნებისმეტყველო საგნებისა და ინგლისური ენის ინტერგირებული სწავლებით. სარეკომენდაციო ნაბიჯები ვირტუალურ აპლიკაციაზე მუშაობის დროს ეფექტური და ეფექტიანი ინტეგრირებული სასწავლო პროცესის მისაღებად:

- ინგლისური ენისა და საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებელთა მიერ ელექტრონული აპლიკაციების შესწავლა;
- აპლიკაციებზე დაფუძნებით სასწავლო მოდულების ერთობლივად დაგეგმვა;
  1. საბუნებისმეტყველო მიმართულებით კონკრეტული საკითხის ირგვლივ დავალებებისა და შეკითხვების მომზადება;
  2. ინგლისური ენის კომპეტენციის გასაძლიერებლად სხვადასხვა თემატიკის ლექსიკური დავალებების მომზადება, სადისკუსიო დიალოგების მომზადება და ა.შ.;
- შემუშავებული დავალებების სასწავლო პროცესში დანერგვა, შეფასება, უკუკავშირი;
- მასწავლებელთა რეფლექსია, საჭიროებიდან გამომდინარე დანერგილი მოდულის ცვლილება და ასახვა სასწავლო კურიკულუმში.

V სექცია
ენათმეცნიერება

ასოცირებული პროფესორი ელენე ფილაშვილი

ლადო მრელაშვილის „იყალთოელი ბიჭების“ ზოგიერთი ენობრივი თავისებურება

ლადო მრელშვილის ერთი მოთხრობის - **„იყალთოელი ბიჭების“** ენობრივი თავისებურებები ნაირფეროვნებით ხასიათდება, დაკვირვების შედეგად გამოვლინდა არაერთი საინტერესო ნიშანდობლიობა:

ლადო მრელაშვილის პერსონაჟების **სახელდება** მიზანმიმართულია: პერსონაჟთა უმრავლესობა კნინობითი ფორმის სახელთა მატარებლები არიან, თუმცა არც ერთი მათგანი დამცირებულ-დაკნინებული ფორმის გამომხატველად არ გვხვდება. სახელდება აქ უფრო მოფერება-ალერსობითია. კნინობითი სახელის მაწარმოებლად მწერალს გამოუყენებია **-ა** და **-იკო** აფიქსები: **მელანა, ეფრემა, ცონდარა, ფარნაოზა, ზალიკო** და სხვა. საკუთარი სახელის გვერდით მწერლის ენაში ყურადღებას იქცევს **მეტსახელები: ხახაბო, რწყილა, სნაიპერა, კნუწო, გროზნა**... მეტსახელის შერქმევა მეწილად განპირობებულია ადამიანის ფიზიკური შესაძლებლობებიდან.

ლადო მრელაშვილის ენაში უხვად გვხვდება **ორიგინალური სიტყვათშეხამებები,** როგორც შეთანხმებული, ისე მართული მსაზღვრელ-საზღვრულები, რომლის წყობა ხშირ შემთხვევაში პრეპოზიციულია: **აქოთქოთებული ნიაღვრები, პირქაფიანი ხევი, ვეება შიში, მოჭიატე ცის ლურჯი ნაჭერი, ყომრალი ღრუბლების კალთა, შიშნაჭამი მგელი, საქციელწამხდარი ნადირი, რუხი განთიადი, სიცოცხლის ფრინველი, მეტიჩარა ვარსკვლავები, თვალშეუდგამი სიბნელე...**

ლადო მრელაშვილის „იყალთოელი ბიჭები“ ყურადღებას იქცევს **წყევლის ფორმულების** სიუხვით: „დასწყევლოს ეშმაკმა“, „დასწყევლოს ჩემმა გამჩენმა“, „ეშმაკი და ჩემი გამჩენი“, „მიწაგასახეთქო“, „დასწყევლოს ღმერთმა“, „მგლის საჭმელო“, „მიწადასაყრელო“... აღმიშნული ფორმულები მწერალთან იმდენად ორიგინალურად არის ტექსტში შერწყმული, რომ იგი ხშირ შემთხვევაში ღიმილის მომგვრელია.

ლადო მრელაშვილის პროზაში **მხატვრული ხერხებიდან** აღსანიშნავია **შედარება, მეტაფორა, გაპიროვნება, დიალოგი,** რომელიც ძალზედ ემოციურ-ექსპრესიულია და ტექსტს მხატვრულ-გამომსახველობით ძალას ანიჭებს: „კანჭებდაკარწახებული მებადურებივით დაჰყურებდნენ წყალს“; „ცას პირი მოეხსნა და ღვარად მოდიოდა წვიმა. აქოთქოთებული ნიაღვრები თავქვე ეშვებოდნენ და იყალთოს პორქაფიან ხევს უერთდებოდნენ“...

ამრიგად, ლადო მრელაშვილის **„იყალთოელი ბიჭები“** დაწერილია ცოცხალი, ქართული ენის მდიდარი ლექსიკითა და სასაუბრო ძარღვიანი ენით, შემოქმედი ზუსტად არჩევს სიტყვასა თუ ფრაზას, სძეს სრულქმნილებას, მაღალმხატვრულობას, ემოციურობას, რაც ასე გამორჩეულსა და ინდივიდუალურს ხდის მწერლის შემოქმედებას.

ასოცირებული პროფესორი ქეთევან შაშვიაშვილი

ბიზნეს იდეების საპრეზენტაციო ტექსტების (Pitching) ლინგვო-სტილისტური ანალიზი

თანამედროვე ბიზნეს სამყაროში მეწარმეობის და სტარტაპების განვითარებასთან ერთად სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება პოტენციური ბიზნეს ინვესტორების წინაშე საკუთარი ბიზნეს იდეის ან პროექტის შესახებ მოკლე პრეზენტაციით წარდგომა, ანუ ე.წ. „პიჩინგი“ (Business Pitch). ზოგადად, სიტყვა „Pitch“ არის საუბარი, სიტყვა, გამოსვლა, რომელიც ვინმეს დარწმუნებას ემსახურება მიზნად. იგი ერთგვარი სიტყვით გამოსვლის ხელოვნებაა, რომელიც შესაძლებლობას აძლევს მეწარმეებს დროის მოკლე მონაკვეთში სწრაფად, საინტერესოდ და ეფექტურად წარადგინონ საკუთარი კომერციული საქმიანობა, ბიზნეს იდეა ან პროექტი და მოხიბლონ პოტენციური ინვესტორები. წინამდებარე მოხსენების მიზანია სწორედ ამ ტიპის ინგლისურენოვანი სიტყვით გამოსვლის ტექსტების კვლევა მათი ლინგვო-სტილისტური თავისებურებების გამოვლენის მიზნით. საკვლევ მასალად აღებულია ცნობილი ამერიკული სატელევიზიო პროექტის - „Shark Tank”-ის 15 სეზონის წარმატებული მონაწილეების გამოსვლების ტექსტები.

მასალის ლინგვო-სტილისტური კვლევისა და ანალიზის საფუძველზე გამოვლინა, რომ ინგლისურ ენაში, ბიზნეს იდეის საპრეზენტაციო ტექსტებს ახასიათებთ შემდეგი თავისებურებები: ლექსიკურ დონეზე, ტექსტებში ყველაზე ხშირად ვხვდებით ისეთ მეტყველების ნაწილებს, როგორიცაა ზედსართავი სახელი, არსებითი სახელი და ზმნა. ასევე, აღსანიშნავია კომპოზიტების სიჭარბე, განსაკუთრებით გავრცელებულია ორი და მეტი სხვადასხვა სიტყვის ან ფუძის შეერთებით მიღებული ლექსიკური ერთეულები, რომელთა სიმრავლეც, ვფიქრობთ, მცირე დროში მაქსიმალურად საჭირო ინფორმაციის მოკლედ გადაცემის აუცილებლობით შეიძლება აიხსნას. გარდა ამისა, უხვად ვხვდებით ბიზნეს ჟარგონისა და იდიომების მაგალითებსაც. სტილისტური თვალსაზრისით საპრეზენტაციო ტექსტებში ხშირია მეტაფორისა და რიტორიკული შეკითხვების გამოყენების შემთხვევები, რაც გამომსვლელთა მეტყველებას მეტ გამომსახველობასა და ემოციურ შეფერილობას სძენს. ასევე, ხაზგასასმელია გამეორების სხვადასხვა ფორმების გამოყენება. მაგალითად, ხშირად ვხვდებით ანაფორას, რომელსაც პრეზენტატორები უმეტესად ხაზგასმისათვის იყენებენ.

ამრიგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბიზნეს იდეების წარდგენისას გამომსვლელები საკმაოდ ეფექტურად იყენებენ სხვადასხვა ენობრივ საშუალებებს, რაც მათ მეტყველებას მსმენელისათვის უფრო გასაგებს და ამავე დროს, უფრო ემფატიკურსა და ექსპრესიულს ხდის.

ასოცირებული პროფესორი სედა ასატუროვი

უბრუნველი არსებითი სახელები რუსულ ენაში, მათი გრამატიკული სქესი

ნებისმიერი ენის ლექსიკური მარაგის გამდიდრება ხდება სახელმწიფოებს შორის არსებული სამეცნიერო, კულტურული, სავაჭრო და სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობების შედეგად. ასეთი გზით საუკუნეების განმავლობაში ივსებოდა რუსული ენის ლექსიკური მარაგიც.

სიტყვების ათვისება ხდებოდა არა მხოლოდ სემანტიკურად, არამედ გრამატიკის კუთხითაც: დასესხებულ სიტყვათა ნაწილი უბრუველი დარჩა: ეს არის ფორმაუცვლელი უბრუნველი არსებითი სახელები, რომლებიც პირობითად მიეკუთვნა მამრობით, მდედრობით ან საშუალო გრამატიკულ სქესს.

უბრუნველი სულიერი სახელები (ფრინველებისა და ცხოველების სახელები), როგორც წესი, მამრობითი სქესიაა: ფლამინგო(фламинго), გნუ(ანტილოპა)(гну), პონი (пони) და სხვ.

ადამიანების სახელების მიმართებაში გრამატიკული სქესი კონკრეტული ადამიანის სქესზეა დამოკიდებულია: მესიე(месье), ფრაუ(фрау), მადემუაზელ(мадемуазель) და სხვ.

უბრუნველ ტოპონიმთა გრამატიკული სქესი (ქალაქების, მდინარეების, ტბების, მთების სახელები) დგინდება საზოგადო არსებითი სახელის გრამატიკული სქესის მიხედვით: ხმაურიანი დელი (шумный Дели - город), მაღალმთიანი ბაზალეთი (высокогорное Базалети - озеро), ჩვენი ალაზანი (наша Алазани - река) და ა. შ.

უბრუნველი უსულო არსებითი სახელები უმეტესად მიეკუთვნება საშუალო გრამატიკულ სქესს: რადიო (радио), პენსნე(пенсне), ბიურო ბიურო(), დეპო (депо), პიურე(), ამპლუა() და სხვ. მაგრამ არსებობს გამონაკლისებიც, კერძოდ, ზოგიერთი უბრუნველი უსულო არსებითი სახელი ორგვარად გამოიყენება - როგორც საშუალო გრამატიკული სქესის სახით, ასევე მამრობითი ან მდედრობითი გრამატიკული სქესის სახითაც: პენალტი(пенальти – ср. р. и м.р.), ტორნადო (торнадо - ср.р. и м.р.), ავენიუ(авеню – ср. р. и ж.р.) და სხვ. ჩვენი აზრით, აღნიშნული გარემოება იწვევს გარკვეულ პრობლემებს.

გრამატიკული სქესის თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს უბრუნველი არსებითი სახელი ყავა (кофе). XIX საუკუნეში ეს სიტყვა მიეკუთვნებოდა მამრობით გრამატიკულ სქესს და იბრუნვოდა(кофей, кофий). თანამედროვე რუსულ ენაში სიტყვა кофе არ იბრუნვის, ის მიეკუთვნება მამრობით სქესს(крепкий кофе, ароматный кофе растворимый кофе).

თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ სასაუბრო ენაში («в обиходно-разговорной речи») **кофе** ხშირად გამოიყენება როგორც საშუალო გრამატიკული სქესის სიტყვა(крепкое кофе). ზოგიერთ თანამედროვე განმარტებით ლექსიკონში **кофе** წარმოდგენილია როგორც ისეთი არსებითი სახელი, რომელიც ერთდროულად მიეკუთვნება მამრობითსა და საშუალო გრამატიკულ სქესს, რასაც ჩვენ კატეგორიულად არ ვეთანხმებით.

რუსული ენის მრავალ განმარტებით ლექსიკონში («Большой толковый словарь правильной русской речи» Л. И. Скворцова (2009) და სხვ.) სიტყვა **кофе** ერთმნიშვნელოვნად მამრობითი გრამატილული სქესიაა. ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ გამართულ რუსულ სალიტერატურო ენაში სიტყვა **кофе** უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ როგორც მამრობითი გრამატიკული სქესის არსებითი სახელი.

პროფესორი ნუნუ გელდიაშვილი

დავით თურდოსპირელი (ჩხეიძის) შემოქმედების მხატვრული ენა

ზოგადად, მცირე პროზის ნიმუშები საკმაოდ მრავალფეროვანია და ინდივიდუალური მხატვრულობით გამოირჩევა, რაც ცხადყოფს, რომ მწერლისათვის მნიშვნელოვანი და მთავარი არა მხოლოდ მსოფლხედვა, არამედ მისი გამოხატვის ადეკვატურობაა, განსაზღვრა იმისა, რას და რატომ იყენებს, რამდენად აღწევს მიზანს, რას სძენს ამით ხატოვან აზროვნებას; ალბათ, ასეთმა დამოკიდებულებამ განაპირობა ის, რომ დავით თურდოსპირელის მცირე პროზის ენა საოცრად მრავლისთქმელი და მრავალწახნაგოვანია, რაც მდიდარ საილუსტრაციო მასალას იძლევა არაერთი ნიშანდობლიობის გამოსავლენად.

კვლევის სხვადასხვა მეთოდმა ცხადყო, რომ ავტორის უშუალო შემოქმედების ნაყოფი და მხატვრული სახის შექმნის საუკეთესო საშუალება **მეტაფორაა** - საგნებისა და მოვლენებისათვის არადამახასიათებელი, თუმცა, პოეტურად დასაშვები თვისებების მიწერა. მისი სხვადასხვა სახე გამორჩეულად დამახასიათებელია საანალიზო ტექსტებისათვის: ,,... ბნელოდა კიდეც, ნესტიც იდგა, **შიმშილიც იზმორებოდა“;** ,,ერთ მთვარიან ღამეს გაისმა **ზამთრის თითების კაკუნი“;** ყალანქარი **ნისლის დროშები წითლად გაშლილიყვნენ ცაზე“; ,,ალის გველების ქარავნები შემოესია ტყეს ... გაშალა წითელი ფრთები**...“

შედარებით, ანუ მხატვრული დახასიათების ამ ფორმით, დავით თურდოსპირელი დიდებულად ახერხებს საგნებისა და მოვლენების ერთმანეთთან შეფარდებასა თუ, გარეგნულად მსგავს ან შინაგან დამახასიათებელ ნიშან-თვისებათა გადატანის საფუძველზე, შეპირისპირებას.საკმაოდ მდიდარი მასალა შექმნილია სხვადასხვა ხერხით და დატვირთულია ემოციური ელფერით: ,,რცხილა ლაწალუწით გადაეშვა...,სახელოვან **გმირსავით** დაეცა უთანასწორო ბრძოლაში“; ,,მეეტლეები მიაქროლებენ **შვილდისავით** მორკალულ გაგელებულ ცხენებს“; ,,...**ბავშვები ყაყაჩოებსავით შემოფრქვეოდნენ?“**...

ეპითეტი მკვეთრად გამოხატავს მთქმელის იდეურ თვალსაზრისს და სუბიექტური მრწამსის ნიუანსებს. ამასთან ერთად, ალამაზებს და ამკობს საგნისა და მოვლენის სახეს, ან უარყოფითად ამდაბლებს და აკნინებს მას... **მუდმივი** ეპითეტებიდან ყველაზე ხშირი აღმოჩნდა მსაზღვრელებად: **საცოდავი, მოხუცი, მწარე, ავი, შხამიანი...** განსაკუთრებული კვლევის საგნად კი ჩვენთვის **მეტაფორული ეპითეტი** იქცა. რაოდენობრივმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ეს მოვლენა ხაზგასმულად სახასიათოა: ,,უღრანი ტყით **შენაბდულ მთებში** მოხუც სვანთან ერთად ვმოგზაურობდი“; ,,უფათერაკოდ გადავიარეთ **გიჟთვალა ხევები“**; ,,ხეების **შემომწვარი ჩონჩხები** გატიტვლებული იყვნენ აღმართულნი“; ,,ტბის კიდეებზე **ზურმუხტის ბაყაყებსაც** გაუბამთ შიქასტები“...

გაპიროვნება (პერსონიფიკაცია) მხატვრული გამოსახვის ხერხია, რომლისთვისაც დამახასიათებელია საგნებისა და მოვლენებისადმი ადამიანური თვისებების მიწერა, უსულო და სულიერი საგნების გაადამიანება. უსულო საგანი წარმოგვიდგება როგორც ადამიანი, რომელიც გრძნობს, მსჯელობს, მოქმედებს: **,,ტყეს ჟრჟოლამ დაუარა“**; ,,კიდევ ბევრს **იჭარტალებდა ასკილი,** მაგრამ ბოროტ ფიქრთა დენა შეუწყვიტა ბავშვების ჟრიამულმა“; ,,სიამოვნებისგან **ათრთოლდნენ ყაყაჩოები“;** ,,მთელი ღამის განმავლობაში **ქვითინებდა ქარი“**...

ამდენად, ტროპული მეტყველების ნიმუშები, ჩვენი აზრით, უდავოდ, გადამწყვეტ როლს ასრულებენ ტექსტთა მხატვრული ეფექტის შექმნაში. ერთი შეხედვითაც აშკარაა, რომ საოცარი თვითმყოფადი და ორიგინალური სახითაა დავით თურდოსპირელის შემოქმედებაში მხატვრულ-გამომსახველობითი პალიტრა; მაღალმხატვრული ოსტატობით მოხმობილი ნაირგვარი საშუალებები მკითხველს ეხმარება ტექსტის იდეური საზრისის უკეთ აღქმა-გაანალიზებაში.

პროფესორი მანანა ღარიბაშვილი
ასოცირებული პროფესორი შორენა ლაზვიაშვილი

დავით თურდოსპირელის (ჩხეიძის) მოთხრობების ინგლისურენოვანი თარგმანები და მათი ტიპოლოგიური მახასიათებლები

თურდოსპირელის მხატვრული სიუჟეტები თითქოს მინიმალისტურია, მაგრამ სწორედ ამ მინიმალიზმში ვლინდება ღრმა სემიოტიკური დატვირთვა და სოციალური ან ეგზისტენციალური მინიშნებები. დიდ ყურადღებას იპყრობს მოთხრობების სათაურების თარგმნა, რომელიც საკმაოდ რთულ პროცესს წარმოადგენს. ამ ერთეულების თარგმნა მოითხოვს არა მხოლოდ ზედმიწევნით ადეკვატრად გადმოცემას, არამედ კულტურულ კონტექსტზე მორგებულ ინტერპრეტაციასაც. სტატიაში გაანალიზებულია, თუ როგორ ტრანსფორმირდება სათაურის შინაარსობრივი და ემოციური დატვირთვა ერთი ენიდან მეორეზე გადატანისას და როგორ მოქმედებს ეს ლიტერატურული ტექსტის აღქმაზე უცხოენოვან მკითხველში.

სათაურის თარგმნა, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო, თუმცა რეალურად ერთ-ერთი საკვანძო ამოცანაა ლიტერატურულ თარგმანში. იგი წარმოადგენს პირველ შეხებას ტექსტთან და ქმნის მოლოდინებს ნაწარმოების თემატიკის, სტილისტიკისა თუ ტონალობის მიმართ. სწორედ ამიტომ, სათაურის თარგმანი ფუნქციურად უნდა პასუხობდეს ორ მთავარ გამოწვევას — იყოს ზუსტი და, ამავდროულად საკმარისად ექსპრესიული უცხოენოვანი მკითხველისთვის.

თურდოსპირელს მოთხრობების სათაურებად შერჩეული როგორც ცალკეული სიტყვები, თუ ფრაზები, აგრეთვე მთლიანი წინადადებები. მსგავს სათაურებად გვევლინება არა მხოლოდ თხრობითი ფორმის წინადადებები (**„მოცქრიალებს გაზაფხული“, „პოეტს ლექსი დაუწუნეს“, „ჩვენ ისევ მოვალთ“**...), აგრეთვე ძახილისა (**„ვაშა გაღვიძებულ სიცოცხლეს“, „მშვიდობით, ყვავილებო!“, „ნუ, ნუ მომკლავ, მამილო!“**) და კითხვა-ძახილის ფორმით (**„რა ერჩიან ამ ცუგრუმელას?!“**) გამოხატული სათაურები.

მოხსენებაში ყურადღება გამახვილდება იმ კულტურულ თუ სემიოტიკურ ასპექტებზე, რომლის გათვალისწინება უაღრესად მნიშვნელოვანია სათაურების თარგმნისას. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ ერთ-ერთი სათაური **„მოცქრიალებს გაზაფხული“,** რომლის თარგმნის რამდენიმე ალტერნატიული გზა არსებობს: *“Spring is Sparkling”*, *“Spring Shimmers”, “Spring Glimmers”* , თუმცა, ჩვენი მოსაზრებით, ყველაზე ადეკვატური მოცემულ სიტუაციაში გახლავთ ***“Spring is Sparkling”***, ვინაიდან ეს ვერსია გაცილებით ზუსტად გადმოსცემს სენსორულ განცდას, რომელიც ჩნდება გამჭვირვალე სინათლის ციმციმით. დანარჩენ ორი ვერსიაში მსუბუქად იცვლება სინათლის ინტენსივობა და ემოციური ტონი, რაც იმის დასტურია, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მთარგმენლის ინტუიცია ვიზუალური მეტაფორის სიმძაფრის შესანარჩუნებლად.

ასისტენტ პროფესორი შორენა წიგნაძე

გოდერძი ჩოხელისეული ზოგი სტილისტიკური საშუალება მოთხრობაში ,,ღმერთის შვილები“

გოდერძი ჩოხელის მოთხრობა ,,ღმერთის შვილები“ ღრმა სულიერი და ზნეობრივი შინაარსის მატარებელია, რომელშიც ავტორი ღვთისმოსაობის, თანაგრძნობისა და სიყვარულის მარადიულ თემებს აქსოვს. ნაწარმოების ცენტრალური იდეა – ყოველი ადამიანი ღვთის შვილია, მათ შორის ისინიც, ვინც გარეგნულად ცოდვაში ჩავარდნილად ან შერყვნილად მოჩანს – მკაფიოდ მჟღავნდება მთელი თხრობის განმავლობაში. მწერალი ყვება ამბავს და მკითხველს სამყაროს მისეულ ხედვასაც უზიარებს ადამიანური არსის, რწმენის ძალის, სულიერი სიკეთის ღირებულების შესახებ.

ადამიანი – ღმერთის შვილია, მიუხედავად მისი მდგომარეობისა!

მოთხრობის სათაური უშუალოდ უკავშირდება ავტორის მთავარ გზავნილს: ყოველი ადამიანი, როგორი ცოდვებითაც არ უნდა იყოს მოცული, ღვთის შექმნილია და მასში კვლავ არსებობს სინათლის სხივი. იგი იწყება თხრობით, რომ ამ სოფელში უფალმა ერთი ღამე გათია და იქაურები დაარიგა, ღირსეულად ეცხოვრათ. სოფელი, ეს არის ამქვეყნიურობის სიმბოლო თავისი კეთილი თუ ბოროტი ადამიანებით, სადაც სატანა მძლავრობს, ხოლო ღმერთის შვილები ცდილობენ, სულიერი სისწმინდე შეინარჩუნონ და თავიანთ შთამომავლებსაც სულიერი ძალა და მადლი შეჰმატონ.

ავტორის მიზანს არ წარმოადგენს განსჯა ან მორალისტური დიალოგი. ნაწარმოების სიმბოლურ სტრუქტურაში ცხადად იკითხება ქრისტიანული ალეგორია: ქრისტეს ანარეკლი და ცოდვით დაცემული კაცობრიობის წარმომადგენლები. ავტორი გვაჩვენებს, რომ: „ღმერთი თავის შვილებს თვალს არ აშორებს.“

ერთია რას ასახავს მოთხრობა, მეორე კი - რა საშუალებებს, რა ხერხებს მიმართავს ავტორი, რომ აგრძნობინოს მკითხველს პერსონაჟთა გრძნობები და ქმედებები, ყველა აზრის სამოსელი, გულმოდგინედ შერჩეული სიტყვების ძალა. აღნიშნულის შესწავლა საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ ის ენობრივი საშუალებები, რომლებიც მოთხრობის სტილურ ნიშნებს გამოკვეთს. უპირველეს ყოვლისა, ეს არის დიალექტური ლექსიკა, რომელიც უფრო ხშირად გვხვდება პერსონაჟთა მეტყველებაში და ასევე ავტორისეულ თხრობაშიც დასტურდება: სხედან საფიხვნოში მზის გულზე; ეგრე უთქვამს, ეგერ; აბა, შამამხედე, საით ამცდება?

პერსონათა მეტყველებაში იკვეთება ანდაზები და ხალხური სასაუბრო ფრაზები, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში პერიფრაზირებულია: ნათქომია, კაცს იღბალი მიე და გინდ, ცივ ქვაზე დასვიო.

გოდერძი ჩოხელი მკითხველის ყურადღების გასამახვილებლად ხშირად მიმართავს გამეორებას: რაც უფრო მეტად აჰყვებით მაცდურს და წაიბილწავთ სულს, მით მეტი ძალა დააკლდება ჩემს სულს. ომის კალო გახურდა და გახურდა და ა.შ.

ჩოხელის მოთხრობა ეს არ არის მხოლოდ ლიტერატურული ტექსტი და ენობრივი გამოხატვის შესაძლებლობები, ის სულიერი გზამკვლევია, რომელიც მკითხველს აფიქრებს ადამიანურ ფასეულობებზე – მიტევებაზე, თანაგრძნობაზე, სითბოსა და რწმენაზე.

VI სექცია
აგრარული მეცნიერებები

ასოც. პროფ. ლალი ელანიძე
ასოც. პროფ. ირა შილდელაშვილი
ასოც.პროფ. მზია ღაღოლიშვილი

გუდაში და პოლიეთილენის პარკში მომწიფებული ცხვრის ყველის ქიმიური მახასიათებლები

დაბალანსებული კვების აუცილებელი პროდუქტების ნუსხაში ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი რძის პროდუქტებს, კერძოდ კი ყველს უკავია. ყველი საკმაოდ ყუათიანი საკვები პროდუქტია, რომელიც მდიდარია ძირითადი საკვები ნიტრიენტებით და სხვა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით [1]. ყველის ჩართვა კვების რაციონში ამცირებს დიაბეტისა და გულის დაავადების განვითარების რისკს, ასევე შასაძლებელია შეამციროს ინსულტის რისკი, აქვს ანტიკანცეროგენული მოქმედება [2]. ყველი ვიტამინი K_2 -ის წყაროა, რომელიც დადებით გავლენას ახდენს როგორც გულ-სისხლძარღვთა დაავადებებზე, ასევე სისხლის შედედების რეგულაციაზე [3].

შესწავლილი იყო სხვადასხვა მომწიფების ტექნოლოგიით დამზადებული ყველის ნიმუშების ქიმიური შემადგენლობა. ყველის ნიმუშები აღებული იყო თუშეთის ორ თემში: 1) ივანაურთის თემი, სოფელი ვესტმო, გუდაში მომწიფებული ცხვრის ყველი და 2) სამციხის თემი, სოფელი ჩიღო, პოლიეთილენის პარკში მომწიფებული ცხვრის ყველი. კვლევის შედეგებით გამოვლინდა რომ გუდაში მომწიფებული ყველის მშრალი ნივთიერების მასური წილი 72%-ია, ხოლო პოლიეთილენის პარკში მომწიფებულის 60%. ტიტრული მჟავიანობა, შესაბამისად, 210 ^{0}T და 120 ^{0}T, ცილა მშრალ მასაში - 44,26% და 29,95%, ხოლო, ცხიმი მშრალ მასაში, შესაბამისად - 45,8% და 44,0%, მარილის შემცველობა კი 8,9% და 13,5%-ია. ტენის შემცველობა გუდაში მომწიფებული ყველში 28%-ია, ხოლო პოლიეთილენი პარკში მომწიფებულში -40%. ეს განსხვავება გამოწვეულია მომწიფების ხანგრძლივობით და შენახვის პირობებით. თუშური გუდა, სადაც მიმდინარეობს ყველის მომწიფება, ხელს უწყობს სპეციფიკური მიკრობიოტას განვითარებას, რაც გამოიხატება სპეციფიური არომატის გაძლიერებაში, უნიკალური გემოს და სტრუქტურის ჩამოყალიბებაში. პოლიეთილენის პარკში მომწიფებულ ცხვრის ყველის არომატული პროფილი გაცილებით სუსტია, გუდაში მომწიფებულ ყველთან შედარებით, რამეთუ მომწიფების პროცესი მიმდინარეობს ჰერმეტულად დახურულ გარემოში, სადაც შესაძლებელია განვითარდეს ანაერობული მიკროფლორაც.

ასოცირებული პროფესორი ნინო ვეფხიშვილი
ასოცირებული პროფესორი ლევან შავაძე

უძველესი ქართული ავტოქტონური ვაზის ჯიშების განახლებული სიცოცხლე

8000-ზე მეტი წლის განმავლობაში, რაც ქართული კულტურული ვაზი არსებობს, არაერთხელ ჩამოიარა მძიმე ჟამიანობამ, მაგრამ ქართველმა ეს ღვთიური მცენარე, მაინც, გადაარჩინა: ხან ტყეს შეაფარა, ხან - ეკლესია-მონასტერს... თუმცა, XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე შემოჭრილმა ფილოქსერამ და ვაზის სოკოვანმა დაავადებებმა, აგრეთვე, XX საუკუნის ბოლოს გატარებულმა არასწორმა აგრარულმა პოლიტიკამ ქართულ ვაზს ისევ გაუჩინა გაქრობის საშიშროება - ჯიშების ნაწილი აქა-იქ, კერძო და საკოლექციო ვენახებშიღა შემორჩა მხოლოდ. .

„მეღვინეობა შუმმა“ 90-იანი წლებიდან დაიწყო გადაშენების პირას მყოფი და იშვიათი ჯიშების მოძიება და 2003 წელს შექმნა კოლექცია, რომელიც დღეს ყველაზე დიდი კერძო ამპელოგრაფიული კოლექციაა მსოფლიოში - ქართული, უცხოური და, ჯერ კიდევ, ამოუცნობი ვაზის ჯიშების სიმრავლით. ის ღიაა ყველა ქართველი და უცხოელი დამთვარიელებლისა და მეცნიერისთვის, მათ შორის, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მკვლევრებისათვის..

წლების განმავლობაში საღვინედ შერჩეული იშვიათი და მცირედ გავრცელებული ვაზის ჯიშები „შუმმა“თავის კუთვნილ ტერიტორიებზე გადაიტანა გასამრავლებლად. ასე შეიქმნა ნაფარეულში სიმონასეულის, საფერავი ბუდეშურის, უბაკლურის, საკმიელას, კახური მცვივანის, ჩიტისთვალას, კრახუნას, დანახარულის უნიკალური ვენახები. თესაუს მაგისტრის მიერ კი თანამედროვე კვლევითი მეთოდებით 2013 წელს მეცნიერულად შესწავლილ იქნა სიმონასეული - პირველი ჯიში, რომელიც კოლექციიდან ნაფარეულის ტერუარზე იქნა გადატანილი. საუკეთესო საღვინე პოტენციალთან ერთად, მას მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობაც აღმოაჩნდა (ეპმრ-მეთოდით), რაც ახალი, მანამდე უცნობი, მეცნიერული სიტყვა იყო ჯიშ სიმონასეულზე. მეტიც, ჯიშური არომატების გამოკვეთის მიზნით, „შუმის“ დაკვეთით სიმონასეულის ჯიშისათვის გამოყვანილ იქნა საკუთარი საფუარი, რომელზედაც კომპანია დღეს ღვინო „სიმონასეულს“ საწარმოო მასშტაბით ამზადებს.

ნაშრომში მიმოხილულია ზემოთ დასახელებული იშვიათი და მცირედ გავრცელებული ქართული ყურძნის ჯიშების ენო-კარპოლოგიური და ამპელოგრაფიული ნიშნები, გავრცელების ბუნებრივი არეალები, სიმწიფის პერიოდები და ყურძნის ენოლოგიური მახასიათებლები; წარმოდგენილია, ასევე, კვლევის შედეგები 2024 წლის მოსავლისაგან დამზადებული: ღვინო „სიმონასეულის“ ორი ვარიანტი - საკუთარ და კომერციულ კულტურულ საფუარზე კლასიკური მეთოდით დაყენებული; „საფერავი ბუდეშურის“ კლასიკური ღვინო; ღვინო „უბაკლურის“ სამი ვარიანტი - კლასიკური, ქვევრის და კასრის, „კრახუნას“ - ქვევრის ღვინო, „კახური მცვივანის“, „საკმიელასა“ და „ჩიტისთვალას“კლასიკური მეთოდით დაყენებული ღვინოები და, ბოლოს, ყველა თეთრყურძნიანი ჯიშისაგან კლასიკურად დამზადებული ღვინო „თაიგული“.

ძირითად ქიმიურ მახასიათებლებთან ერთად, შესწავლილია მათი ორგანოლეპტიკა და სხვადასხვა კლასის ფენოლური ნაერთების შემცველობა, აგრეთვე, ღვინოების ანტიოქსიდანტური აქტივობა DPPH-რადიკალის ინჰიბირების უნარის მიხედვით; ერთი და იმავე ჯიშისაგან განსხვავებული მეთოდით დამზადებული ღვინოები შედარებულია ერთმანეთთან.

ასოცირებული პროფესორი ლელა წიკლაური

ღვინის კრისტალური სიმღვრივე

ღვინის კრისტალური სიმღვრივე ფართოდ გავრცელებული პრობლემაა მეღვინეობაში. მზა პროდუქციის სტაბილობის და სასაქონლო სახის დარღვევა სიმღვრივის და ნალექის წარმოქმნის შედეგად იწვევს მნიშვნელოვან ზარალს ღვინის საწარმოებისთვის. სხვადასხვა წლებში წარმოებული ღვინის თითქმის 25% მიდრეკილია კრისტალური სიმღვრივის წარმოქმნისკენ.

სტატიის მიზანია სხვადასხვა ავტორების მიერ მიღებული იმ მონაცემების განზოგადება, რომლებიც ეხება კრისტალური ნალექის წარმოქმნაზე გავლენის მქონე ღვინის ფიზიკურ-ქიმიურ მაჩვენებლებს. კვლევის ობიექტებს წარმოადგენდა ბოლო წლებში გამოქვეყნებული პუბლიკაციები, რომლებიც ეხებოდა ღვინოში კრისტალური სიმღვრივის შესწავლას, ხოლო მეთოდებიდან გამოყენებულია ანალიზის, სისტემატიზაციის და განზოგადების მეთოდები.

სტატიაში განხილულია კრისტალური სიმღვრივის კომპონენტების ბიოლოგიური მნიშვნელობა ვაზისთვის, კრისტალური სიმღვრივის ძირითადი კომპონენტების წყაროები, კრისტალური სიმღვრივის სახეები, მათი ბუნება, ფიზიკურ-ქიმიური თვისებები, მოტანილია ღვინის მაჩვენებლები, რომლებიც გავლენას ახდენს კრისტალური სიმღვრივის წარმოქმნაზე.

კრისტალური ნალექის წარმოქმნა მზა ღვინოში ნორმალურ ტემპერატურაზე მათი შენახვისას წარმოადგენს ღვინის ზადს. ქიმიური შედგენილობის მიხედვით ღვინოს შეუძლია ხსნარში შეაკავოს ღვინომჟავას მარილების განსაზღვრული რაოდენობა. ღვინის მომზადების, დამუშავების და დავარგების პროცესში მისი ქიმიური შედგენილობის შეცვლამ შეიძლება გამოიწვიოს ამ უნარის ცვლილება, ჭარბი რაოდენობით ღვინომჟავა მარილების წარმოქმნა და გამოლექვა. კრისტალური სიმღვრივის წარმოქმნა შესაძლოა უკავშირდებოდეს სხვადასხვა ტექნოლოგიური ხერხების გამოყენებას (ბენტონიტით დამუშავება, ფილტრაცია და სხვ.), რომელიც მას გაამდიდრებს კალციუმით. კრისტალური სიმღვრივე წარმოიქმნება ღვინის ტემპერატურის დაქვეითებისას, pH-ის მნიშვნელობის მომატებისას, დამცავი კოლოიდების მოცილებისას და ღვინომასალის დასპირტვის შედეგად. წარმოქმნილი კრისტალური ნალექის უმეტესი ნაწილი წარმოადგენილია კალიუმის და ღვინის მჟავას მარილებით.

მიუხედავად იმისა, რომ დღეისათვის არსებობს ღვინის კრისტალური სიმღვრივის კონტროლის, პროგნოზირების და მასთან ბრძოლის სხვადასხვა ტექნოლოგიური მეთოდები, სიმღვრივის ეს რჩება მეღვინეობის პროდუქციის სტაბილობის და სასაქონლო სახის დარღვევის ერთერთ ძირითად მიზეზად. კრისტალური სიმღვრივის წარმოქმნის პრობლემის გადასაჭრელად საჭიროა მისი თვისებების, აგრეთვე იმ ფაქტორების ღრმა ფუნდამენტური კვლევა, რაც გავლენას ახდენს ღვინის მრავალკომპონენტიან შედგენილობაში მის წარმოქმნასა და სედიმენტაციაზე. სტატიაში მოყვანილი განხილვის შედეგები მნიშვნელოვანია ყურძნის მიღების და გადამუშავებისათვის ახალი მიდგომების შესამუშავებლად.

ასოცირებული პროფესორი გაგა ბუიშვილი
დოქტორანტი შალვა ბატიაშვილი

ვაზის ჯიშ „ახმეტის წითელის“ სამეურნეო-ტექნოლოგიური პოტენციალის შესწავლა სხვადასხვა ტიპის ღვინის წარმოებისთვის

საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობა ერთერთი გამორჩეული დარგია სოფლის მეუნეობაში, რადგან ქვეყნის ნიადაგურ-კლიმატური, მრავალფეროვანი პირობები ქმნის მაღალხარისხოვანი მევენახეობის განვითარების შესაძლებლობას, რასაც აძლიერებს ვაზის მრავალფეროვანი, ადგილობრივი ჯიშების სიუხვე.

საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის 6 რეგიონში: კახეთში, ქართლში, იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმში, შავიზღვის სანაპირო ზონაში და მესხეთში დადასტურებულია 500-ზე მეტი ჯიშის არსებობა. კახეთის მხარეში წარმოდგენილია ქვეყნის ვენახების 70 %-ზე მეტი და წარმოებული ღვინის 80 %.

ქართული ვაზის უძველესი ჯიშების მოძიება-შესწავლა დიდი ხანია მიმდინარეობს. ამ საქმეში პატარა წვლილის შეტანის მიზნით დავიწყეთ შესწავლა კახეთის რეგიონის, ადგილობრივი ჯიშის „ახმეტის წითელის“. ვაზის ჯიში სესახებ მწირი ცნობები გვხვდება ტაბიძის ნაშრომში (დ.ტაბიძე 1954).

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა ვაზის ჯიში „ახმეტის წითელის“ სამეურნეო-ტექნოლოგიური თვისებების შესწავლა. შესწავლილ იქნა ყურძნის მტევნის მექანიკური შემადგენლობა, გაკეთდა ყურძნის წვენის და ღვინის ანალიზები: ფოლინ-ჩოკალტოუს მეთოდი ფენოლების განსაზღვრისთვის, საერთო და მონომერული ანთოციანების განსაზღვრა pH-დიფერენციალური სპექტროფოტომეტრული მეთოდით. ანტი ოქსიდანტური აქტივობის განსაზღვრა DPPH (2,2-დიფენილ-1-პიკრილჰიდრაზილის) რადიკალის შთანთქმის უნარის ტესტით.

ვაზის ჯიში	*საერთო ფენოლები მგ/მლ (ქლოროგენის მჟავაზე გადანგარიშებით)*	*საერთო ანტოციანები მგ/მლ (ციანიდინ 3-O გლუკოზიდის ქლორიდზე გადაანგარიშებით)*	*ანტიოქსიდანტური აქტივობა - DPPH რადიკალის 50% ინჰიბირება მგ ნიმუშის მიერ*
ახმეტის წითელი			
მარცვალი	2.644	0.178	19.058
გამონაპრესი	10.112	0.876	5.723
წვენი	0.763	0.022	140.587
ღვინო	1.615	0.039	42.561

მიღებული შედეგების საფუძველზე ჯიში საჭიროებს შემდგომ კვლევებს, აქედან გამომდინარე, დასკვნის სახით რაიმეზე საუბარი ამ ეტაპზე შეუსაბამოდ მიგვაჩნია.

VII სექცია
საბუნებისმეტყველო მეცნიერებები და ინფორმაციული ტექნოლოგიები

პროფესორი მაგდა დავითაშვილი
ასოცირებული პროფესორი ლამარა ზუროშვილი

მცენარეთა ზრდის სტიმულატორი მეთილობაქტერიები

აერობული მეთილობაქტერიები ნახშირბადის და ენერგიის წყაროდ იყენებენ მეთანოლს, მეთილამინს, ფორმალდეჰიდს, ფორმიატს და სხვა მეთანის დაჟანგულ და ჩანაცვლებულ ნაწარმებს, რომლებიც წარმოადგენენ მცენარეთა მეტაბოლიზმის ბუნებრივ პროდუქტებს. მეთილობაქტერიები ახდენენ მცენარეთა კოლონიზაციას და მჭიდრო ურთიერთკავშირში არიან მასთან. მცენარეთა კავშირი მეთილობაქტერიებთან ურთიერთსასარგებლოა, რადგან მეთილობაქტერიები აცილებენ მცენარეთა მეტაბოლიზმის პროდუქტებს და შეუძლიათ მცენარის ზრდა-განვითარების სტიმულირება ფიტოჰორმონების და სხვა ზრდის ფაქტორების პროდუქციის ხარჯზე.

კვლევის მიზნად დავისახეთ მეთილობაქტერიების ახალი შტამების შესაძლებლობების ანალიზი მცენარეთა ზრდის სტიმულირებაში. კვლევის ობიექტს წარმოადგენდა მეთილობაქტერიების 4 შტამი (*Methylobacillus arboreus* D47, *Methylophilus flavus* B58, *Methylopila musalis* A34, *Methylobacterium extorquens* C10), რომლებიც გამოყოფილი იყო სხვადასხვა მცენარეების ფილოსფეროსა და რიზოსფეროდან.

დადგინდა, რომ ყველა გამოკვლეული შტამი ასინთეზირებს ფიტოჰორმონ - აუქსინს - ტრიფტოფანის ინდოლილნაწარმს (4-16 მკგ/მლ კულტურალურ სითხეში). გიბერელინური აქტივობა გამოვლინდა D47 და C10 შტამებში. ქრომატოგრაფიული მეთოდებით აღმოჩენილ იქნა ნივთიერებები, რომლებიც Rf სტანდარტით ემთხვეოდა გიბერელინის მჟავას. გარდა ამისა, მეთილობაქტერიების საკვლევი შტამები ამჟავებენ არეს ჭიანჭველმჟავას წარმოქმნით, რომელსაც შეუძლია ნიადაგის მინერალური ფოსფატების გახსნა და მცენარის შესათვისებელ ფორმაში გადაყვანა.

მეთილობაქტერიების კულტურალური სითხიდან გამოყოფილი გიბერელინის მსგავს ნივთიერებებს ვიყენებდით სალათის (*Lactuca sativa var. ramosa*) ჰიპოკოტილის ზრდის ბიოტესტირებაში. D47 და C10 შტამების ნივთიერებების ნიმუშებით ვამუშავებდით სალათის სტერილურ თესლებს. გამოვლინდა, რომ დამუშავებისას სალათის აღმონაცენის სიმაღლე 5 სმ-დე იყო (შეესაბამება დადებით კონტროლს - გიბერელინის მჟავით დამუშავებისას), მაშინ როდესაც დაუმუშავებელი თესლების აღმონაცენების სიმაღლე 2.0-3.0 სმ-ს შეადგენდა.

ასევე ნაჩვენები იყო მეთილობაქტერიების შტამების დადებითი გავლენა ცერცვის (*Vicia faba*) კოლონიზაციაზე. მეთილობაქტერიებით ცერცვის სტერილური თესლების ინოკულირებისას 6 დღე-ღამეში შეინიშნებოდა განსხვავება ზრდაში მეთილოტროფებით კოლონიზირებულ (საცდელ) და ცერცვის საკონტროლო სტერილურ აღმონაცენებს შორის. მეათე დღეს საცდელი მცენარეების ღეროს სიგრძე 2-5.5-ჯერ მეტი იყო, მწვანე ნაწილების წონა - 1.7-3.3-ჯერ მეტი, ფესვთა სისტემის წონა - 1.7-3.9-ჯერ მეტი.

ამრიგად, მეთილობაქტერიების საკვლევი შტამები ასინთეზირებენ ფიტოჰორმონებს, აუმჯობესებენ მცენარეთა ფოსფორულ კვებას, დადებითად მოქმედებენ მათ ზრდაზე და პერსპექტიულები არიან მცენარეთა ზრდის ახალი პრეპარატ-სტიმულატორების შემუშავებისთვის.

ასოცირებული პროფესორი გელა აზიკური

აგრესია და მისი ფსიქო-სოციალური და ფიზიოლოგიური ასპექტები

კვლევის მიზანი: კვლევის მიზანს წარმოადგენდა თელავის სკოლებში აგრესიის გამოვლინების ფორმების, მასშტაბების და გავლენის შესწავლა სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში.

კვლევის მეთოდები:

1. **რაოდენობრივი კვლევა:**
   - გამოიკითხა 200-მდე მოსწავლე (6-18 წლის ასაკის) და 84 პედაგოგი თელავის სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან
2. **თვისებრივი კვლევა:**
   - 3 ფოკუს-ჯგუფი (სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში)
   - 35 სიღრმისეული ინტერვიუ განათლების ექსპერტებთან, ფსიქოლოგებთან და მანდატურებთან
3. **მეორადი მონაცემების ანალიზი:**
   - განათლების სამინისტროს, მანდატურის სამსახურისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშები (2019-2024)
   - არსებული აკადემიური კვლევების და პუბლიკაციების სისტემური მიმოხილვა
   - საკანონმდებლო ბაზის და პოლიტიკის დოკუმენტების ანალიზი

ძირითადი მიგნებები:

1. **აგრესიის გავრცელების მასშტაბები:**
   - სკოლის მოსწავლეთა 41% აღნიშნავს, რომ ბოლო 12 თვის განმავლობაში გამხდარა აგრესიის რაიმე ფორმის მსხვერპლი
   - სკოლის მოსწავლეებში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (53%) დაფიქსირდა 12-15 წლის ასაკობრივ ჯგუფში
   - კიბერბულინგის შემთხვევების 72%-იანი ზრდა დაფიქსირდა 2020-2024 წლებში
2. **ასაკობრივი თავისებურებები:**
   - დაწყებით კლასებში (6-9 წელი) აგრესია ძირითადად ფიზიკური სახით ვლინდება — ჩხუბი, ბიძგი, ნივთების დაზიანება. ბავშვებს უჭირთ ემოციების სწორად გამოხატვა და ხშირია იმპულსური ქცევები დომინირებს სპონტანური ფიზიკური აგრესია (ხელის კვრა) - 58%
   - საშუალო საფეხურზე (10-15 წელი) ჭარბობს ვერბალური აგრესია (დაცინვა, შეურაცხყოფა) - 63% და სოციალური გარიყვა - 47%
   - უფროსკლასელებში (16-18 წელი) მაღალია კიბერბულინგის მაჩვენებელი - 38% და გენდერული ნიშნით აგრესია - 31%
3. **არსებული პრევენციული მექანიზმების ეფექტურობა:**
   - სკოლებში ანტიბულინგის პროგრამები ამცირებს აგრესიას 28%-ით
   - მასწავლებელთა მხოლოდ 34%-ს აქვს გავლილი სპეციალური ტრენინგი კონფლიქტის მოგვარებასა და აგრესიის მართვაში
   - სკოლების 60%-ს არ ჰყავს კვალიფიციური ფსიქოლოგი

ძირითადი დასკვნები:

1. აგრესია წარმოადგენს სისტემურ პრობლემას საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რომელიც მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას.
2. აგრესიის ფორმები მნიშვნელოვნად ვარირებს ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით, რაც მიუთითებს ასაკობრივად დიფერენცირებული პრევენციული სტრატეგიების საჭიროებაზე.
3. ციფრული აგრესია წარმოადგენს სწრაფად მზარდ გამოწვევას, რომელიც მოითხოვს ინოვაციურ საპასუხო ზომებს.
4. აგრესიის ადრეული აღმოჩენა და მართვა მნიშვნელოვანია საზოგადოებაში ჰარმონიული ურთიერთობების ჩამოყალიბებისთვის.

პროფესორი თამარ ნადირაძე

აღმოსავლეთ საქართველოში ნაკლებად გავრცელებული ზოგიერთი მერქნიანი მცენარის თანამედროვე ბიოეკოლოგიური მდგომარეობა და მათი გამწვანებაში გამოყენების პერსპექტივები

ბიომრავალფეროვნების დაცვა და შენარჩუნება კაცობრიობის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა. უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში, მკვეთრად გაზრდილი ანთროპოგენური ზემოქმედებისა და კლიმატის ცვლილების პირობებში, ისევე როგორც მთელი გარემოს, მცენარეული სამყაროს დაცვა-აღდგენას უდიდესი ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა აქვს როგორც ბუნების დაცვისა და მისი კანონზომიერად გამოყენების, ისე მცენარეული საფარის დაცვა-აღდგენისა და მისი განახლება-გაუმჯობესების თვალსაზრისითაც.

აღმოსავლეთ საქართველო მდიდარია სხვადასხვა ასაკის როგორც ადგილობრივი, ისე ინტროდუცირებული ეგზოტიკური მერქნიანი მცენარეებით, რომელთა თანამედროვე ბიოეკოლოგიური მდგომარეობის შესწავლას არა მარტო თეორიული, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს, მათი გამწვანებაში გამოყენების შესაძლებლობების დადგენის თვალსაზრისით. ამჟამად გამწვანებაში გამოყენებულია ზოგიერთი ისეთი ხე-მცენარე, რომელიც „დაუმსახურებლად“ იკავებს დიდ ადგილს გამწვანებაში, მაშინ როდესაც სხვა უფრო ძვირფასი ღირსების მქონე მცენარეების მონაწილეობა შეზღუდულია ან სრულიად გამორიცხულია.

დეკორატიულ მებაღეობაში და გამწვანებაში მცენარეთა კოლექციის სწორად შერჩევას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ესთეტიკური, არამედ სანიტარულ-ჰიგიენური და მიკრო-კლიმატური პირობების შექმნის თვალსაზრისითაც. მცენარეების მიერ გამოყოფილ აქროლად ნივთიერებებს, ფიტონციდებს, დიდი ბაქტერიოციდული და ჰაერის მასტერილიზებელი ღირებულება აქვს, მაგრამ ყველა მცენარე ერთნაირი მოქმედებისა და სიძლიერის ფიტონციდებს არ გამოყოფს. ამიტომ, ცალკეულ შემთხვევებში, გამწვანების თვალსაზრისით მცენარეების შერჩევისას, სასურველია, გათვალისწინებულ იქნას მათი ეს მეტად საყურადღებო თვისებაც. ნაშრომში წარმოდგენილია აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ, კახეთის რეგიონში მოზარდი ზოგიერთი ნაკლებად გავრცელებული მცენარის: მარწყვის ხე (*Arbutus andrachne* L.), რკინის ხე (*Parrotia persica* C.A.M), ლიქვიდამბარი (*Liquidambar styracifolua* L.), კარია პეკანი(Carya pecan Engl. Et Graebn.) და მწარე ანუ გულისებური კარია (*Carya cordiformis* K.Koch), შავი ღვია (*Juniperus foetidissima* Willd.), ჩვეულებრივი ღვია (*Juniperus communis L.),* ბამბუკი (*Phyllostachys aurea Riviere* & C.Riviere), და სხვა ძვირფასი დეკორატიული მცენარის თანამედროვე ბიოეკოლოგიური მდგომარეობა და მათი გამწვანებაში გამოყენების პერსპექტივები.

ასისტენტ პროფესორი დარეჯან მარგალიტაშვილი

თეთრი და შავი ყურძნის წიპწის ზეთის ბიოქიმიური ანალიზი

სტატიაში წარმოდგენილია ცივი დაწნეხვის მეთოდით მიღებულ ,,საფერავის'' ჯიშის ყურძნის წიპწის ზეთში შემავალი ცხიმოვანი მჟავების შემცველობის შედარება თეთრი ყურძნის წიპწის ზეთის ცხიმოვანი მჟავებთან.

მაღალმგრძნობიარე თხევადი ქრომატოგრაფის საშუალებით განისაზღვრა, როგორც საფერავის ჯიშის ყურძნის წიპწის ზეთში შემავალი ცხიმოვანი მჟავების რაოდენობრივი შემცველობა, ასევე თეთრი ყურძნის წიპწის ზეთში შემავალი ცხიმოვანი მჟავების შემცველობა. აღმოჩნდა, რომ ორივე სახის ზეთში დაახლოებით ერთნაირი ცხიმოვანი მჟავები შედის, თუმცა არის მნიშვნელოვანი განსხვავებაც. კერძოდ, საფერავის ჯიშის ყურძნის წიპწის ზეთში შედის შვიდი დასახელების ცხიმოვანი მჟავა, რომელთაგან ყველაზე მეტი რაოდენობით არის ლაურინის მჟავა (51,4 მგ/100გ), რაც თეთრი ყურძნის წიპწის ზეთში არ აღმოჩნდა, ხოლო თეთრი ყურძნის წიპწის ზეთში შედის 6 დასახელების მჟავა და ყველაზე დიდი რაოდენობით (72 მგ/100გ) არის ლინოლის მჟავა, რომელიც საფერავის ჯიშის ყურძნის წიპწის ზეთში არ არის წარმოდგენილი.

ცხიმოვან მჟავების მნიშვნელობა ადამიანის ჯანმრთელობისთვის ძალიან დიდია. ისინი მონაწილეობას ღებულობენ იმ პროცესებში, რომელსაც ადამიანი განიცდის არაჯანსაღი ცხოვრების წესით ცხოვრების დროს. ყურძნის წიპწაში შემავალი ცხიმოვანი მჟავები ისეთი თერაპიული მოქმედების მქონენი არიან, რომელსაც თან არ ახლავს გვერდითი მოვლენები.

ასოც. პროფესორი სვიმონ ოხანაშვილი
მოწვ დოქტორი ნინო ყურაშვილი

ხელოვნური ინტელექტის ალგორითმები

თემის აქტუალობა და მიზანი გამომდინარეობს იქიდან, რომ ხელოვნური ინტელექტი გამოიყენება მეცნიერების თითქმის ყველა მიმართულებით, ესენია: განათლება, მედიცინა, კოსმოსი, ბიზნესი, ინფორმაციული უსაფრთხოება, სახელმწიფოს დაცვა და სხვა.

ხელოვნური ინტელექტი არის კომპიუტერული პროგრამა - სიტემა, რომელსაც ადამიანის მგზავსად შეუძლია მემდეგი ფუნქციების შესრულება, როგორიცაა: ლოგიკური აზროვნება, პრობლემიდან ამოცანის დასმა და გადაჭრა, დასკვნების გამოტანა, სწავლა და ახალ სიტუაციებთან ადაპტაცია და სხვ.

ხელოვნური ინტელექტი ნებისმიერი ამოცანის ამოხსნისათვის იყენებს სპეციალურ სხვადსხვა სირთულის და სიძლიერის ალგორითმებს. თავის მხრივ ალგორითმები არის მათემატიკური მეცნიერების ერთ-ერთი ძლიერი მიმართულება, რომელიც სწრაფად ვითარდება და გამოიყენება თანამედროვე ტექნოლობიების დახმარებით სხვადასხვა სახის მეცნიერებებში პრაქტიკული და თეორიული ამოცანების და პრობლემების გასააჭრელად.

ალგორითმის სირთულე ძირითადად ეყრდნობა ალგორითმის შესრულების დროს და კომპიუტერის მეხსიერების სიდიდეს. თუმცა შესაძლებელია სხვა გაუთვალისწინებელი პროცესებიც იწვევდეს გარკვეულ სირთულეს, როგორიცაა: მონაცემების შეტანა - გამოტანა, პროცესორის სიხშირე და დონე. ზოგჯერ ერთი და იგივე ამოცანა შეიძლება ამოიხსნას რამდენიმე ალგორითმით, რომელთა სირთულეები განსხვავებული ან შეიძლება ერთნაირი იყოს. თუ ორი ალგორითმი ერთნაირია, მაშინ მათგან ირჩევენ იმას, რომელსაც ნაკლები მეხსიერება სჭირდება.

ხელოვნური ინტელექტის ალგორითმებია: საძიებო სისტემები, ციფრული ასისტენტები, მონაცემთა ანალიზი, ხელოვნური ინტელექტი მანქანური სწავლება და მეთოდები, მონაცემთა შეგროვება ღრმა ნეირონული ქსელებიდან, პროგრამირება, სირთულის ანალიზი, პროგრამული ინჟინერიის თეორია და პრაქტიკა, კომპიუტერული ხედვის გამოყენება ბუნებრივ ენებში, ავტოკორექტირება, მომხმარებელთა ვირტუალური მომსახურება, გაძლიერებული ანალიტიკა და სხვა.

თემაში ძირითადი კვლევა მიმართულია ხელოვნური ინტელექტის ალგორითმების შესრულების, გამოყენების და პროგრამირების ენაზე ჩაწერა - გადატანის პროცესზე. კვლევების დროს აღმოჩნდა, რომ ხელოვნური ინტელექტის ყველა ალგორითმი არ არის ჩაწერილი მხოლოდ ერთ დაპროგრამირების ენაზე. ალგორითმები ჩაწერილია დაპროგრამების ხუთ სხვადასხვა ენაზე და ენის შერჩევას ხელოვნური ინტელექტი თვითონ ახდენს თემის სირთულისა და ენის პროგრამული შესაძლებლობების მიხედვით.

ასოცირებული პროფესორი მარიამ ზაქარიაშვილი

სამეცნიერო აბსტრაქტიდან ვიზუალურ ნარატივამდე - თანამედროვე მიდგომები და ტექნოლოგიები

თანამედროვე სამეცნიერო კვლევები სულ უფრო მეტად საჭიროებენ მკაფიო, ეფექტურ და ვიზუალურად მიმზიდველ პრეზენტაციას. ტექნოლოგიური პროგრესი იძლევა შესაძლებლობას, მეცნიერებმა კვლევითი ნაშრომები წარმოადგინონ როგორც ვიზუალურად მიმზიდველი პოსტერი, პრეზენტაცია ან ინფოგრაფიკა, რაც ხელს უწყობს შინაარსის უკეთ აღქმას. ამ კონტექსტში განსაკუთრებით აქტუალური ხდება ისეთი აპლიკაციების გამოყენება, როგორიცაა Canva, Adobe Illustrator და Microsoft PowerPoint.

ნაშრომის მიზანია ანალიზი გაუკეთოს სამეცნიერო ინფორმაციის ვიზუალურ ნარატივად გარდაქმნის თანამედროვე მიდგომებს, შეაფასოს ძირითადი დიზაინის პლატფორმების – Canva, Adobe Illustrator და Microsoft PowerPoint – შესაძლებლობები და ფუნქციური უპირატესობები სამეცნიერო კომუნიკაციის კონტექსტში.

კვლევა ეფუძნება:

- შედარებით ანალიზს – თითოეული აპლიკაციის ფუნქციური და პრაქტიკული შედარება;
- ქეისების განხილვას – კონკრეტული მაგალითების მიმოხილვა სამეცნიერო პოსტერებისა და პრეზენტაციების დიზაინის პრაქტიკაში;
- მომხმარებელთა გამოცდილებაზე დაყრდნობით შეფასებას (ლიტერატურის მიმოხილვა, ტექნიკური რესურსები, ექსპერტების მოსაზრებები).

ანალიზი

- Canva გვთავაზობს ინტუიციურ ინტერფეისს, მზა შაბლონებს და მარტივად მართვად გრაფიკულ ელემენტებს. პლატფორმა განკუთვნილია დამწყები და საშუალო გამოცდილების მქონე მომხმარებლებისთვის. მისი ღირებულება - ნებისმიერ ადამიანს შეუძლია სწრაფად შექმნას და პროფესიონალურად გამოიყურებოდეს სამეცნიერო პოსტერები ან ინფოგრაფიკა, დრეკადი ფორმატებით და ჩაშენებული დიზაინის წესებით.
- Adobe Illustrator წარმოადგენს ინდუსტრიული სტანდარტის პროგრამას გრაფიკული დიზაინის სფეროში. იძლევა ვექტორულ დიზაინზე დაფუძნებულ მაღალი ხარისხის გამოსახულებების შექმნის შესაძლებლობას. სამეცნიერო კონტენტისთვის მისი უპირატესობაა დეტალების კონტროლის მაღალი დონე და შესაძლებლობა, შეიქმნას კომპლექსური ვიზუალური კომპონენტები.
- MicroSoft PowerPoint კვლავ რჩება ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ინსტრუმენტად. მისი მთავარი უპირატესობაა მარტივი გამოყენება, უნივერსალურობა. უზრუნველყოფს სწრაფ და ფუნქციურ პრეზენტაციის ფორმატირებას და ხშირად გამოიყენება სამეცნიერო პოსტერების შექმნისთვის.

სამეცნიერო კომუნიკაციის სფეროში ვიზუალური ფორმების გამოყენება მნიშვნელოვანი ტრენდია, პირდაპირ აისახება ინფორმაციის ეფექტიანად გადაცემასა და აუდიტორიის ჩართულობაზე. Canva, Adobe Illustrator და MicroSoft PowerPoint წარმოადგენს სამ განსხვავებულ, მაგრამ კომპლემენტარულ ინსტრუმენტს, რომლებიც მეცნიერებს საშუალებას აძლევს, გადააქციონ აბსტრაქტული ინფორმაცია დინამიკურ ვიზუალურ ნარატივად. მათი სწორი გამოყენება მნიშვნელოვანია როგორც აკადემიური, ისე საზოგადოებრივი კომუნიკაციის წარმატებისთვის.

ასისტენტ პროფესორი თამაზ ლაჩაშვილი

ბულის ამოცანის რეალიზება პროგრამა Excel-ის საშუალებით

კომპიუტერულ სისტემებში ნებისმიერი ტიპის ოპერაცია ორობითი კოდის საშუალებით ხორციელდება, ამ კოდის დამუშავებისას ვიყენებთ And, Or, Not ლოგიკურ ოპერაციებს და მათ კომბინაციებს. გამოსასვლელზე სიგნალის სახით ვღებულობთ ნულოვან, ან ერთეულოვან სიგნალს.

ბულის ამოცანის არსი მდგომარეობს სამ შესასვლელიანი სქემის შემთხვევაში გამოსასვლელზე ერთეულოვანი სიგნალის მიღებას ჭარბი ერთეულოვანი სიგნალების შემთხვევაში, ანუ, თუ სამი შესასვლელიდან ნებისმიერ ორ შესასვლელზე (თუნდაც სამივეზე) გვექნება ერთეულოვანი სიგნალი, გამოსასვლელზე ვიღებთ ერთეულოვან სიგნალს. (საკონფერენციო ნაშრომში ბულის სქემის საფუძველზე ვაჩვენებთ მის მოქმედების პრინციპს).

კვლევის მიზანია პროგრამა Excel-ში შევქმნათ გარემო, სადაც მოცემული ტიპის ამოცანებისათვის მარტივი იქნება მათი რეალიზების გზა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ პროგრამა ადვილად გაუმკლავდება უფრო მაღალი რიგის ამოცანებს, შესასვლელთა მეტი რაოდენობისათვის.

საკონფერენციო ნაშრომში განხილული გვაქვს ხუთ შესასვლელიანი სქემა, სადაც ნებისმიერი სამი და მეტი ერთეულოვანი სიგნალის დაფიქსირებისას გამოსასვლელზე ვღებულობთ ერთეულოვან სიგნალს. მეტი ეფექტურობისთვის თითოეული ველისთვის შევქმენით ცალკე პირობა და მონაცემის ტიპი, რომელიც „ჭეშმარიტ“ ერთეულოვან მდგომარეობას გვიფიქსირებს წინასწარ მოცემული პირობის გათვალისწინებით.

Excel-ის ცხრილში შევიტანეთ მონაცემები და შევირჩიეთ შემდეგი ველები მონაცემთა დამუშავებისთვის: სახელფ. ბანკი, ხელფასი, ასაკი, სქესი, და სხვა ხარჯი. ზოგადობის დაურღვევლად დავაწესეთ გარკვეული პირობები (მოთხოვნები), რომლებიც აკმაყოფილებენ ქვემოთ მოცემული პირობებიდან სამ და მეტ პირობას. მაგ: სახელფ. ბანკი - BOG, ასაკი - ნაკლები 50-ზე, სქესი - „მამრობითი“, ხელფასი - მეტი 1000-ზე და სხვ. ხარჯი - ნაკლები 100-ზე.

ამოცანის გადასაწყვეტად: მომდევნო ველში (მარჯვნივ), პირველი მონაცემის გასწვრივ შეგვაქვს „=„ (ნიშანი ტოლობა). ვხსნით „ფრჩხილს“, რის შემდეგაც ვიძახებთ f_x (Insert Funqtion) ფუნქციას. მონიტორზე გამოვა ლოგიკური ფანჯარა Function Arguments, სასდაც Logical1 ველში შეგვაქვს ზემოთ აღნიშნული პირობა: 1) სახელფ. ბანკი B2=”BOG”. ყოველი პირობის შეტანისას პროგრამა ავტომატურად გამოიტანს თავისუფალ ველს, შემდეგი პირობის შესატანად. შევიტანოთ დანარჩენი პირობებიც: 2) C2<50; 3)D2=”მამრობითი“; 4)E2>1000; 5) F2<100. დავეთანხმოთ OK ღილაკით და გავავრცელოთ ფორმულის მოქმედება. პროგრამა გვაჩვენებს იმ პიროვნებათა ჩამონათვალს, ვისაც თუნდაც ერთ ველში მაინც აქვს სწორი ლოგიკური მნიშვნელობა (TRUE).

იმისათვის, რომ პროგრამამ გვაჩვენოს თითოეული პიროვნებისათვის ლოგიკურ სწორ პასუხთა ჯამი, გადმოვიტანოთ ფორმულა, OR ოპერატორი შევცვალოთ ჯამით (SUM) ოპერატორით, გავხსნათ ფრჩხილი და თითოეული ლოგიკური ოპერაცია გავამრავლოთ ერთზე. თუ გვსურს სამი და მეტი სწორი ლოგიკური პასუხის შემთხვევაში გამოგვიტანოს შედეგი True, ტოლობის შემდეგ ფორმულაში ვწერთ IF ოპერატორს და პირობას. მძიმეებით გამოვყოფთ პირობას და სასურველ მნიშვნელობებს, რომელიც გვსურს გამოვიდეს შედეგში პირობის დაკმაყოფილების, ან არ დაკმაყოფილების შემთხვევაში.

მოცემული ამოცანის გადაწყვეტა საკმაოდ საინტერესოა მრავალმხრივი მიმართულებით. მაგალითად, მსგავსი ტიპის ამოცანაა: ხუთი განსხვავებული აქტივობიდან პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობა დამაკმაყოფილებლად ჩაითვლება, თუ მოცემული ხუთი კატეგორიიდან არანაკლებ სამ სხვადასხვა კატეგორიაში არის განხორციელებული აქტივობები.

VIII სექცია
ფილოსოფია, სამართლი და პოლიტიკური მეცნიერებები

ასოცირებული პროფესორი შალვა ჭკადუა

საქართველოს 2024 წლის საპარლამენტო არჩევნები - დემოკრატიული ლეგიტიმაცია და დასავლური მოლოდინების პარადოქსი

ანალიტიკური თეზისის მიზანია ევროკავშირსა და საქართველოს შორის არსებული გართულებული ურთიერთობების მოსალოდნელი უარყოფითი შედეგის წინაპლანზე წამოწევა. კვლევა დაეყრდნო დაინტერესებულ მხარეთა საინფორმაციო წყაროების ანალიზს.

2024 წლის საპარლამენტო არჩევნები საქართველოში წარმოადგენს კრიტიკულ დემოკრატიულ რგოლს, რომელმაც დაადასტურა ქვეყნის შიდა სტაბილურობა და მოსახლეობის ნდობა მმართველი პარტიის - „ქართული ოცნების“ - პროევროპული კურსის მიმართ (NDI, 2024). არჩევნების პროცესი სამართლებრივი ჩარჩოს ფარგლებში მიმდინარეობდა და არ გამოუწვევია კრიტიკული პროტესტი; OSCE/ODIHR-მა დააფიქსირა, რომ ხარვეზების მიუხედავად, პროცესი პლურალისტურ სტანდარტებს აკმაყოფილებდა (OSCE/ODIHR, 2024). ამით მმართველ ძალას მიენიჭა არა მხოლოდ შიდა პოლიტიკური ლეგიტიმაცია, არამედ მორალური მანდატი ქვეყნის გეოპოლიტიკური კურსის განსაზღვრაში.

ევროპასთან ურთიერთობაში, საქართველოს მიმართ ორმაგი სტანდარტის პრაქტიკა - განსაკუთრებით ევროკავშირის მიერ კრიტიკული შეფასებების ფონზე - ქმნის ევროინტეგრაციის პროცესის ნელთბილ და პარადოქსულ სურათს, რომელიც ქვეყნის მიღწევებისადმი არასაკმარისად დაფასებულ დამოკიდებულებაში ვლინდება (European Council, 2023). ასეთმა დამოკიდებულებამ არა მხოლოდ საქართველოს საზოგადოებაში გააჩინა სკეპტიციზმი ევროპული პერსპექტივის მიმართ, არამედ შესაძლოა, გრძელვადიანად შეარყიოს დასავლური გავლენის ლეგიტიმაცია რეგიონში. საერთაშორისო პარტნიორებიდან უნგრეთისა და სლოვაკეთის ლიდერებმა მკაფიოდ დააფიქსირეს ევროკავშირის ბიუროკრატიის უარყოფითი გავლენა ასოცირებულ სახელმწიფოებზე, რაც საქართველოს პროგრესის მიმართ მხარდაჭერის ნაკლებობაზე მიუთითებს (Hungarian MFA, 2024; Slovak Spectator, 2024). ვფიქრობ, ევროინტეგრაციის შეფერხება არ უნდა განიმარტოს მხოლოდ თბილისის პასუხისმგებლობად, რეალურად, დასავლური სტრატეგიული პასუხების არაადეკვატურობა ახდენს დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლების მცდელობების დისკრედიტაციას (Freedom House, 2024). საბოლოოდ, ქართული ხელისუფლების დემოკრატიული ლეგიტიმაცია და სტაბილურობა ევროკავშირის მხრიდან ადეკვატურ პოლიტიკურ და პრაქტიკულ მხარდაჭერას მოითხოვს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ევროინტეგრაციის გზაზე ხელოვნურად შექმნილმა ბარიერებმა შესაძლოა რუსეთის გავლენების გაძლიერებას შეუწყოს ხელი. ეს ის შედეგი იქნება, რომელიც არ პასუხობს არც საქართველოს და არც ევროკავშირის ინტერესებს. საკითხის დადებითად გადაჭრის ერთ-ერთ მთავარ გამოსავალს თბილისსა და ბრიუსელს შორის დიალოგის აღდგენა წარმოადგენს.

პროფესორი ქეთევან საგინაშვილი

ილია ჭავჭავაძის როლი მართლმსაჯულების აღსრულების საქმეში

კვლევის მიზანია წარმოჩინდეს ილია ჭავჭავაძის სასამართლოში მოღვაწეობა, რომელიც შედარებით ნაკლებად არის ცნობილი ფართო საზოგადოებისათვის, თუმცა ეს პერიოდი მნიშვნელოვანია როგორც ილიას ბიოგრაფიისათვის ასევე ქართული მართლმსაჯულების განვითარებისათვის.

ქართული სამართლის ისტორია იყენებს მეთოდების იმ ფორმებს, რომლებიც დამახასიათებელია როგორც იურდიული, ისე ისტორიული მეცნიერებებისათვის ამ შემთხვევაში ვიყენებთ პირველწყაროების როგორც ქრონოლოგიურ ისე სისტემური ანალიზის მეთოდებს.

მოგეხსენებათ, ილია თვითონაც იურისტი გახლდათ. სწავლობდა სანქტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტზე. დიდია მისი წვლილი სასამართლო სისტემის გამართულად ფუნქციონირების საქმეში. წლების განმავლობაში ილია ჭავჭავაძე მოღვაწეობდა სასამართლო სისტემაში. 1864 წლის სასამართლო რეფორმების შემდეგ, დაინიშნა დუშეთში მომრიგებელ მოსამართლედ, სადაც ამ პოსტზე მან 6 წელი დაჰყო. 1874-1877 წლამდე მუშაობდა თბილისის ოლქის სასამართლო პალატაში. მოგვიანებით, 1900 წელის 6 ოქტომბრით დათარიღებულმა გაზეთი „ცნობის ფურცელი“ იუწყებოდა, რომ თბილისის ოლქის სასამართლო პალატის საპატიო მოსამართლედ 3 წლის ვადით ილია ჭავჭავაძე აირჩიეს.

წინამდებარე კვლევით წარმოჩინდება სასამართლო სისტემა XIX საუკუნეში და ილია ჭავჭავაძის როლი მართლმსაჯულების განვითარების საქმეში. ილია ჭავჭავაძე სამართალს ხედავდა როგორც საზოგადოების განვითარებისა და სამართლიანობის საყრდენს. სასამართლოში მუშაობის პერიოდშიც გამოხატავდა თავის ეროვნულ, ჰუმანურ და სამართლიანობისკენ მიმართულ დამოკიდებულებას. მან სასამართლოში მუშაობით დაინახა იმდროინდელი სამართლებრივი პრობლემები. მისი მოღვაწეობის მთავარი პრინციპი წერაა და მოქმედება საზოგადოების სარგებლოდ.

ასოცირებული პროფესორი გიორგი სიბაშვილი

ქართული რენესანსის საკითხისათვის

რენესანსის ანუ აღორძინების ცნებაში XV-XVI საუკუნეების ევროპის კულტურული აღმავლობის ეპოქა მოიაზრება და მის იდეურ შინაარსს ჰუმანიზმი წარმოადგენს. იგი ამქვეყნიური სინამდვილის ანტიკური გაგების აღორძინებას ნიშნავს, თუმცა მასში შუა საუკუნეების ქრისტიანულ-რელიგიური ღირებულებების გავლენაც შეინიშნება. რენესანსის სამშობლოდ იტალია ითვლება, საიდანაც იგი მთელ ევროპაში ვრცელდება და ევროპული რენესანსის სახელწოდებით აღინიშნება. ამავდროულად ევროპაშივე ჩნდება ეჭვი არაევროპული, ანუ აღმოსავლური რენესანსის არსებობის ნიშნების შესახებ. რის მაგალითიცაა შვეიცარიელი ორიენტალისტის ადამ მეცის წიგნი „ისლამის რენესანსი“, რომელიც ეხება არაბული ხალიფატის IX–X საუკუნეებში განვითარებულ მატერიალურ და სულიერ ღირებულებათა შემცველ, კულტურულ მოვლენებს, რომელიც ისლამური კულტურული აღმავლობის ანუ რენესანსული კულტურის ნიშნებად იქნა მიიჩნეული.

ისლამურმა რენესანსმა, რომელსაც მუსლიმი მეცნიერები, „ისლამის ოქროს ხანად“ მოიხსენიებენ, ფართო გავრცელება ჰპოვა არა მარტო ისლამური რელიგიის მიმდევარ ქვეყნებში, არამედ მთელ მსოფლიოში. განსაკუთრებით აზია-აფრიკის ქვეყნებში და საკმაოდ დიდი წვლილიც შეიტანეს მეცნიერების, ფილოსოფიის ხელოვნების და საერთოდ აღორძინების ანუ მსოფლიოს რენესანსული კულტურის განვითარებაში. გამოჩენილი ინგლისელი მეცნიერის ჰორვარდ ტერნერის აზრით, მუსლიმმა მხატვრებმა და მეცნიერებმა, ხელოსნებმა და მთავრებმა ერთად შექმნეს უნიკალური კულტურა, რომელმაც პირდაპირი და არაპირდაპირი გავლენა იქონია ყველა კონტინენტზე.

აღმოსავლური რენესანსის ტიპიური მაგალითია ქართული რენესანსი. ივანე ჯავახიშვილის აზრით, ქართველობამ ელინური შემოქმედების ნიმუშები იგემა და დაეწაფა იმ ცხოველმყოფელს ელინიზმს, რომლის ღრმა და საფუძვლიანმა შესწავლამ დასავლეთის ევროპაში ეგრეთ წოდებული „რენესანსი“ წარმოშვა. საქართველომ ეს მოძრაობა უკვე XII საუკუნეში დაიწყო, მაგრამ მისი დასრულება მონღოლ-თათართა შემოსევამ შეაფერხა. რენესანსის თეორიის შემუშავება 30-იანი წლების II ნახევრიდან დაიწყო შალვა ნუცუბიძის მიერ ბიზანტიის რენესანსის აღიარებით. ბიზანტიის რენესანსი, აღნიშნავდა იგი გამოკვლევაში („იოანე პეტრიწი“), წარმოადგენდა ერთ-ერთ დიდ ნაკადს, საიდანაც დასავლეთ ევროპამ მიიღო განახლების სტიმული; მან შეამზადა დასავლეთ ევროპის რენესანსი. მაგრამ ბიზანტიის რენესანსი შეჩერდა და ეს კულტურული მოძრაობა გაგრძელდა საქართველოში, სადაც მას შესაფერისი პირობები დახვდა. შალვა ნუცუბიძის აზრით ამ პირობათა შორისაა ეკონომიკურ-პოლიტიკური და კულტურული აღმავლობა XI–XII სს-ში და, კონკრეტულად იოანე პეტრიწისა და შოთა რუსთაველის შემოქმედება.

ქართული რენესანსის შესახებ განსხვავებულ აზრს ანვითარებს გრიგოლ რობაქიძე. იგი ქართულ რენესანსს XX საუკუნეში წინასწარმეტყველებს. მისი აზრით, სწორედ ამ საუკუნის საქართველოს ისტორიაში ისახება ქართული რენესანსის ნიშნები. თანამედროვე მეცნიერები საეჭვოდ მიიჩნევენ რენესანსის მოდერნულობას. მათი აზრით, რენესანსი ჰუმანიზმზე და კლასიკურობაზე დამყარებული კულტურული პროგრამა ან მიმდინარეობაა და არა ისტორიული ეპოქა.

ასოცირებული პროფესორი ლალი ძამუკაშვილი

ხელოვნური ინტელექტის გამოყენება საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის დასაწერად

ნაშრომის მიზანია გაანალიზოს, როგორ შეიძლება ხელოვნური ინტელექტის (AI) გამოყენება საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების მომზადებაში, კვლევითი პროცესის გაუმჯობესებისა და აკადემიური წერის ეფექტურობის კუთხით. ნაშრომი შეისწავლის AI-ის უპირატესობებს, შეზღუდვებს და ეთიკურ ასპექტებს აკადემიურ საქმიანობაში მისი ოპტიმალური გამოყენების მიზნით.

ნაშრომი ეფუძნება საბიბლიოთეკო კვლევას.

- **რაოდენობრივი კვლევა** – სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვა, რათა დადგინდეს AI-ის გამოყენების სიხშირე, სარგებელი, გამოწვევები და საფრთხეები.
- **Case study** – კონკრეტული შემთხვევების ანალიზი, სადაც სტუდენტებმა AI გამოიყენეს კვლევაში.
- **AI ხელს უწყობს კვლევის ეფექტიანობას** - ტექსტის გენერაციის, წყაროთა ანალიზისა და სტრუქტურირების ავტომატიზაცია ამარტივებს აკადემიური სამუშაოს შესრულებას.
- **ეთიკური და აკადემიური პატიოსნების საკითხები** - სტუდენტების უმეტესობამ არ იცის, როგორ გამოიყენოს AI ისე, რომ თავიდან აიცილოს პლაგიატი და დაიცვას კვლევის ეთიკა.
- **AI როგორც დამხმარე** - ხელოვნური ინტელექტი უნდა განიხილებოდეს, როგორც დამხმარე ინსტრუმენტი, რომელიც მხარს უჭერს ანალიტიკურ და კრეატიულ აზროვნებას, მაგრამ ვერ ცვლის ადამიანის კრიტიკულ აზროვნებას.
- **უნარების შეძენა** - სტუდენტებს უჩნდებათ ახალი უნარები, როგორიცაა AI ინსტრუმენტებთან ეფექტური კომუნიკაცია და წყაროთა გადამოწმების შესაძლებლობა.

აკადემიურ საქმიანობაში ხელოვნური ინტელექტის გამოყენებამ შეიძლება მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს კვლევის ხარისხი და ეფექტური გახადოს. თუმცა, საჭიროა შესაბამისი რეგულაციებისა და ეთიკური პრინციპების დაცვა/ჩამოყალიბება, რათა AI გამოყენება იყოს აკადემიური სტანდარტების შესატყვისი და პროდუქტიული.

ასოცირებული პროფესორი სალომე ჭელიძე

შრომის უსაფრთხოება საქართველოში და ჰარმონიზაცია საერთაშორისო სტანდარტებთან

შრომის უსაფრთხოება თანამედროვე საზოგადოებაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია. დასაქმებულთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვა არა მხოლოდ სოციალური სამართლიანობის, არამედ ეკონომიკური მდგრადობის და განვითარების ძირითად ასპექტსაც წარმოადგენს. ბოლო წლებში საქართველომ არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა კანონმდებლობის შრომის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებისა და ჰარმონიზების კუთხით, რომელიც მიზნად ისახავს სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოების საკითხებისა და შრომითი უფლებების დაცვას, რაც დაკავშირებულია უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნასთან და შრომის თავისუფლებასთან.

წარმოდგენილი ნაშრომი აღწერს შრომის უსაფრთხოების სფეროში უახლესი რეფორმების მიღწევებსა და შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სამართლებრივი ჰარმონიზების გზას. ამ მიზნით შესწავლილია საქართველოს შრომის სამართლის განვითარების ისტორია, ასევე მიმოხილულია საქართველოს ეროვნული კანონმდებლობა, საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღიარებული ვალდებულებების ფარგლებში სამართლებრივი დაახლოების დინამიური და ეტაპობრივი პროცესები და მომავალში ამ მიმართულებით განსახორციელებელი საკანონმდებლო რეფორმები.

შრომის უსაფრთხოების მარეგულირებელი კანონმდებლობის და მისი აღსრულების მექანიზმის ფორმირებისა და განვითარების პროცესებზე სრული სურათის წარმოსადგენად აღწერილია რეფორმის შედეგები, რომელიც საქართველოში 2015 წლიდან დაიწყო და გაანალიზებულია როგორც აღნიშნულის მიღწევები და გამოწვევები, ისე შრომის უსაფრთხოების მიმართულებით მდგარი ამოცანები საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღიარებული ვალდებულებების ნაწილში. კერძოდ, მიმოხილულია შრომის სამართლის განვითარება, არსებული ნორმატიული გარემო, ჰარმონიზების პროცესი, ასევე, ფუნდამენტურ შრომით უფლებებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მნიშვნელობა და შრომის კანონმდებლობაზე სახელმწიფო საზედამხედველო მექანიზმები, როგორც ერთგვარი გასაღები გატარებული ღონისძიებების ეფექტურად აღსრულების, სამუშაო პირობების გაუმჯობესებისა და შრომის უსაფრთხოების კულტურის განვითარების გზაზე.

ასისტენტი შორენა ლაზარიაშვილი

შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა და მტკიცების ტვირთი

შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა და მტკიცების ტვირთის განაწილება ერთ-ერთ ყველაზე საკამათო და პრაქტიკულად მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს.

კვლევის მიზანია იმ პრობლემების გამოვლენა და ანალიზი, რომელიც აქტუალურია ქართულ შრომით სამართალში, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის და მტკიცების ტვირთის განაწილების დროს. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა ზოგად ფორმულირებებს ითვალისწინებს, კვლავ აქტუალურ საკითხად რჩება სასამართლოს როლი შრომის კოდექსის მუხლების განმარტებისას. სასამართლო პრაქტიკა ხშირად არაერთგვაროვანია, რაც ართულებს სამართლებრივი პროგნოზირებისა და დაცვის სტანდარტების უზრუნველყოფას.

შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის კანონისმიერ რეგულირებას აქვს ერთგვარი შემაკავებელი ეფექტი, რომელიც ამ ურთიერთობის მონაწილეებს იცავს თვითნებობისა და სოციალური უსამართლობისგან. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლის თანახმად, სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. როგორც წესი, ნებისმიერი დავის განხილვისას, სასამართლო ამოწმებს უფლების გამოყენების მართლზომიერების საკითხს, რის საფუძველზეც აფასებს მხარეთა მიერ სასამართლოს წინაშე დაყენებულ მოთხოვნათა მართებულობას.

საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკაზე დაყდნობით ირკვევა, რომ საქართველოს შრომით სამართალში მიზანშეწონილია მტკიცების ტვირთთან დაკავშირებული არსებული რეგულაციების უფრო მკაფიოდ განსაზღვრა, აგრეთვე სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბება. ეს ხელს შეუწყობს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის დროს წარმოშობილი ურთიერთობების, როგორც დამსაქმებლების, ისე დასაქმებულების სამართლებრივი მდგომარეობის განმტკიცებას და მათი უფლებების ეფექტურ დაცვას.